პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 9 მარტი, 1946 წ. № 50 (7523). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სწრაფად განვავითაროთ საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა. მოწინავე. (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (1-ლი და მე-2 გვერდი).

ცნობა სავაჭრო ფლოტის სამთა კომისიისა გერმანიის სავაჭრო ფლოტის გაყოფის შესახებ. (1-ლი გვერდი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ირანის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი კავამ-ეს-სალტანე. (1-ლი გვერდი).

მოლოტოვის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე. (მე-2 გვერდი).

გ. ნატროშვილი. ქართული ბატალიონის აჯანყება. დასასრული. (მე-3 გვერდი).

პ. ბახტურიძე. „დავით აღმაშენებელი“. (მე-3 გვერდი).

ოსუბკა-მორავსკის სიტყვა პოლონეთის სოციალისტური პარტიისა და პოლონეთის მუშათა პარტიის აქტივის კრებაზე. (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები. (მე-4 გვერდი).

სწრაფად განვავითაროთ საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა

მთელი საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი მამაცობისათვის აღაფრთოვანა დიდი **სტალინის** ისტორიულმა სიტყვამ, წარმოთქმულმა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს.

„ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად მოგვცეს 50 მილიონამდე ტონა თუჯი, 60 მილიონამდე ტონა ფოლადი, 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირი, 60 მილიონამდე ტონა ნავთი“.

ასეთია გამარჯვებული საბჭოთა ხალხის წინაშე ბელადის მიერ დასახული დიდი ამოცანა. მხოლოდ ამ ამოცანის შესრულების შემდეგ, „მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გარანტირებული იქნება ყოველგვარი შემთხვევითობისაგან“ (სტალინი).

საბჭოთა სამშობლოს ძლიერების აღმავლობის ამ პროგრამაში ქვანახშირს საპატიო ადგილი უჭირავს. ქვანახშირის ამოღების განუწყვეტელ ზრდაზე მნიშვნელოვან წილად არის დამოკიდებული მრეწველობის მრავალ საკვანძო საკითხთა გადაჭრა.

დიდი სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა, ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ საქართველოს მეშახტეებს საბრძოლო პროგრამად დაუსახა 2 წლის მანძილზე სამჯერ და კიდევ მეტად გაადიდონ ქვანახშირის ამოღება. ამას მოითხოვს ჩვენი უდიდესი საწარმო—მეტალურგიული კომბინატი, რომელიც სწრაფი ტემპით შენდება. ამას მოითხოვს ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომლის მშენებლობაც წარმატებით მიმდინარეობს. ამას მოითხოვს მთლიანად ჩვენი მრეწველობა, რომელიც განუხრელი აღმავლობის გზით მიდის.

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად საქართველოს მეშახტეებს ყველა პირობა აქვთ. შენდება და მალე ჩადგება მოქმედი შახტების წყებაში მთელი რიგი ახალი შახტები ტყვარჩელში, ტყიბულში, ახალციხეში. გაჩაღებულია ბინების მშენებლობა ქვანახშირის საწარმოთა მუშებისათვის. განუწყვეტლივ უმჯობესდება მეშახტეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. შახტებში სამუშაოდ მოდიან ახალი ადამიანები. მაგრამ ყოველივე ეს არ კმარა, თუ მთავარი ყურადღება არ მივაქციეთ ქვანახშირის მოპოვების ტექნიკის გაუმჯობესებას. არც ტყიბულსა და არც ტყვარჩელში — საქართველოს ამ ორ მთავარ და გადამწყვეტი მნიშვნელობის ქვანახშირის სამრეწველო რაიონში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა ყველა სამთო სამუშაოთა მექანიზაციას. უამისოდ კი ზედმეტია ლაპარაკი შრომის ნაყოფიერების სერიოზულ ამაღლებაზე. საჭიროა შახტები აღიჭურვონ საკუმულატორო ელექტრომავლებით, მძლავრი საბურღავი ხელსაწყოებით, ტრანსპორტიორებით, კუთხის კომბაინებით, ქანის გადამტვირთავებით. ეს დამოკიდებულია უმთავრესად ქვანახშირის ტრესტების ხელმძღვანელთა ენერგიასა და უნარზე.

სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გაფართოება ქვანახშირის ამოღების შემდგომი ზრდის აუცილებელი პირობაა. მეშახტეს უძრავი სამუშაო ადგილი როდი აქვს. დღეს ის ერთ ადგილას მუშაობს, შესაძლოა დღევანდელი საწარმოო დავალება ორმაგი გადაჭარბებითაც შეასრულოს, მაგრამ თუ სახვალიოდ მისთვის გამზადებული არ არის ახალი სამუშაო ადგილი, იგი გაცდება და საჭირო შედეგს ვერ მიაღწევს. მეტი რაოდენობით გავამზადოთ ლავები, შეუნელებლივ ვადევნოთ თვალყური სამთო-მოსამზადებელი უბნების მუშაობას, უზრუნველვყოთ წარმატება უპირველეს ყოვლისა ამ უბნებზე. ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ხელმძღვანელებმა შარშან დიდი ყურადღება დაუთმეს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოებს, წლიური გეგმა 116 პროცენტით შეასრულეს და ამით უზრუნველჰყვეს ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე წარმატებების მოპოვება. ამ შახტის კოლექტივმა იანვარში ქვანახშირის ამოღების გეგმა 110 პროცენტით შეასრულა, ხოლო თებერვალში—122 პროცენტით.

განსაკუთრებით აქტუალურია ახლა კვალიფიციური კადრების აღზრდის საკითხი. მეშახტეთა კადრების დაბალი კვალიფიკაცია ხშირად იწვევს საშახტო მექანიზმების მუშაობის შეფერხებას და მაშასადამე ქვანახშირის ამოღების შემცირებასაც. 17 თებერვალს, მაგალითად, ტყიბულში სტალინის სახელობის შახტში ელექტრომავლის მემანქანის გამოუცდელობის გამო 250 ტონა ქვანახშირის ნაცვლად ქვედა ჰორიზონტიდან მხოლოდ 180 ტონა გამოიტანეს. ტექნიკური ექსპლოატაციის წესების ზუსტად დაცვა, საშახტო მექანიზმების მუშაობაში შეფერხებების თავიდან აცილება მხოლოდ მაღალკვალიფიციურ კადრებს შეუძლიათ.

საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის აღსანიშნავად გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ მეშახტეებს შორის გამოავლინა ახალი ადამიანები, მაღალნაყოფიერი შრომის ახალი ოსტატები. ასეთი მუშაკებით ახლა მდიდარია როგორც ტყიბულქვანახშირის, ისე ტყვარჩელქვანახშირის ტრესტი. საჭიროა ამ მოწინავე ადამიანთა გამოცდილების პოპულარიზაცია, მათი მუშაობის მეთოდების ფართოდ დანერგვა, ქვანახშირის მოპოვების ახალ ოსტატთა აღზრდა. იმისათვის, რომ მოვამზადოთ ახალი კადრები, უპირველეს ყოვლისა საჭიროა დავაინტერესოთ ახლადმოსულნი მეშახტის საპატიო პროფესიით, შევუქმნათ მათ კარგი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

ქვანახშირის მრეწველობის მექანიზაციას, შახტების უზრუნველყოფას მუშახელით, კადრების აღსაზრდელად სახსრების გამოყოფას, ხელფასის საკითხებს, ფართო მოხმარების საქონლით და სურსათ-სანოვაგით მეშახტეთა უზრუნველყოფას პარტია და ხელისუფლება ახლა დიდ ყურადღებას უთმობენ. საჭიროა ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელმა სამეურნეო და პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე მეტი ეფექტიანობით გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად.

მიმდინარე სამეურნეო წელი საქართველოს ქვანახშირის მრეწველობამ კარგად დაიწყო. ტყვარჩელელმა და ტყიბულელმა მეშახტეებმა წელს იანვარში ბევრად მეტი ქვანახშირი მოგვცეს, ვიდრე შარშან, ხოლო თებერვალში მათ კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს. ტყიბულქვანახშირის ტრესტმა, მაგალითად, თებერვალში ქვანახშირის მოპოვების გეგმა 114,2 პროცენტით შეასრულა, ხოლო ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა 100,5 პროცენტით. მაგრამ ზრდის ის ტემპები, რომლებიც ახლა გვაქვს, საკმარისი არ არის. ქვეყანა საქართველოს მეშახტეებისაგან ქვანახშირის ამოღების კიდევ უფრო სწრაფ ზრდას მოელის.

საქართველოს მეშახტეებმა უნდა შესძლონ ამ დიდი ამოცანის ღირსეულად და პირნათლად შესრულება. ამას ავალებს მათ ის მაღალი დაფასება, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა დიდი ჯგუფის დაჯილდოვებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავზე.

საქართველოს მიწის წიაღი მდიდარია ქვანახშირით. ჩვენი მეშახტეების პატრიოტული ვალია უნარიანად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, მიაღწიონ ქვანახშირის მრეწველობის სწრაფ აღმავლობას, ახალი საწარმოო მიღწევებით უპასუხონ დიდი სტალინის ისტორიულ სიტყვას.

„ლენინიზმის საკითხების“ გამოცემა ლატვიურ ენაზე

რიგა, 8 მარტი. (საკდესი). ლატვიის სახელმწიფო გამომცემლობამ 50.000 ეგზემპლარის ტირაჟით გამოუშვა ი. ბ. სტალინის წიგნი „ლენინიზმის საკითხები“ ლატვიურ ენაზე. აგრეთვე გამოვიდა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი.

საბჭოთა ასტრონომების დელეგაცია გაემგზავრა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის აღმასკომის სხდომაზე

მოსკოვიდან კოპენჰაგენს გაემგზავრა საბჭოთა ასტრონომების დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმში. საბჭოთა დელეგაციაში შედიან აკადემიკოსი გ. ა. შაინი და მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ა. მიხაილოვი.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ა. ა. მიხაილოვმა სთქვა:

— გაფართოებული პლენუმის ძირითადი ამოცანაა მოამზადოს ასტრონომიული კავშირის მე-7 საერთაშორისო კონგრესი, რომლის მოწვევაც განზრახულია 1947 წელს. ასტრონომთა უკანასკნელი საერთაშორისო ყრილობა შესდგა 1938 წელს სტოკჰოლმში, სადაც საბჭოთა მეცნიერებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ჩვენს დელეგაციას თან მიაქვს როგორც საორგანიზაციო, ისე სამეცნიერო ხასიათის მთელი რიგი წინადადებანი. პლენუმის მუშაობა დაახლოებით ერთ კვირას გაგრძელდება.

ცნობა

სავაჭრო ფლოტის სამთა კომისიისა გერმანიის სავაჭრო ფლოტის გაყოფის შესახებ

1. 1945 წლის 17 ივლისსა და 2 აგვისტოს შუა ბერლინში შემდგარ კონფერენციაზე სსრ კავშირის, შეერთებული სამეფოსა და შეერთებული შტატების მთავრობები შეთანხმდნენ, რომ გერმანიის სავაჭრო ფლოტი თანასწორად იქნება გაყოფილი სსრ კავშირსა, შეერთებულ სამეფოსა და შეერთებულ შტატებს შორის, გარდა იმ გემებისა, რომლებიც ნაოსნობენ გერმანიის შიგნით და სანაპირო ნაოსნობის გემებისა, რომლებიც გერმანიაში მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს მიერ განსაზღვრული იქნებიან, როგორც საჭირონი გერმანიის მშვიდობიანი ეკონომიკის შესანარჩუნებლად. შემდეგ მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ შეერთებული სამეფო და შეერთებული შტატები გერმანიის კაპიტულირებული სავაჭრო გემების თავიანთი წილიდან გამოჰყოფენ სათანადო რაოდენობას მოკავშირე სახელმწიფოებისათვის, რომელთა სავაჭრო ნაოსნობას მძიმე ზარალი მოუვიდა გერმანიის წინააღმდეგ საერთო საქმისათვის ბრძოლაში, გარდა იმ გემებისა, რომლებსაც სსრ კავშირი თავისი წილიდან გამოჰყოფს პოლონეთისათვის.

2. გერმანიის სავაჭრო ფლოტის 3 თავდაპირველ ნაწილად გაყოფის მიზნით, სამი მთავრობა შეთანხმდა დაარსონ სავაჭრო ფლოტის სამთა კომისია, რათა მან მთავრობებს წარუდგინოს შეთანხმებული რეკომენდაციები გერმანიის კონკრეტული სავაჭრო გემების განაწილების შესახებ, და სხვა კონკრეტული საკითხების განსახილველად, რომლებიც ამ შეთანხმებიდან წარმოიშობიან.

3. ამის შესაბამისად შეიქმნა ზემოხსენებული კომისია, რომელსაც სხდომები ჰქონდა ბერლინში 1945 წლის 1 სექტემბრიდან 7 დეკემბრამდე, როდესაც მან თავისი მოხსენება წარუდგინა დასამტკიცებლად სამ მთავრობას.

4. მოხსენება ითვალისწინებს კონკრეტულ პირობებს გერმანიის საზღვაო-სავაჭრო ფლოტის 1.189.600 ბრუტო რეგისტრებული ტონის მთელი რაოდენობის გასაყოფად სამ სახელმწიფოს შორის ნაწილებად, რომლებიც დაფუძნებულია ტონაჟის ღირებულებაზე 1938 წლის ასაგები ფასის მიხედვით, ამასთან მიღებულია მხედველობაში ღირებულების შემცირება ამორტიზაციის გამო, ამრიგად, აღნიშნულ საფუძველზე გაყოფილი გემების ღირებულების საერთო თანხა შეადგენს 20 მილიონზე მეტ გირვანქა სტერლინგს. მოხსენება ითვალისწინებს დედვეიტის დანარჩენი 200 ათასი ტონის შენახვას, რომლებიც მთლიანად შესდგებიან დედვეიტის 2.250 ტონაზე ნაკლები გემებისაგან, გერმანიის მშვიდობიანი ეკონომიკის შესანარჩუნებლად. მოხსენება შეიცავს აგრეთვე რეკომენდაციებს განაწილებული გემების უმოკლეს ვადაში მიყვანის შესახებ და სხვა დამხმარე საკითხებს.

5. სამთა კომისიის მოხსენება და რეკომენდაციები გერმანიის სავაჭრო ფლოტის გაყოფის შესახებ ზოგიერთი შესწორებით დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის, შეერთებული სამეფოს და შეერთებული შტატების მთავრობათა მიერ და ამჟამად სწარმოებს ამ გემების გადაცემა.

6. საკითხი გერმანიის თევზსაჭერი, ტექნიკური, ნავსადგურო და სამდინარო ფლოტების შესახებ ცალკე ცნობის საგანი იქნება.

მოსკოვიდან გაემგზავრა ირანის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი კავამ-ეს-სალტანე

7 მარტს მოსკოვიდან გაემგზავრა ირანის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი კავამ-ეს-სალტანე. ბ-ნ კავამ-ეს-სალტანესთან ერთად გაემგზავრნენ ბ-ნები დ. ამერი, გ. საიახი, რ. ზ. შაფაგი, ჰ. დორი, კ. პირნაზარი, ს. ასადი, ა. გ. ნიკპური და სხვ.

ცენტრალურ აეროდრომზე წამსვლელნი გააცილეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ვ. გ. დეკანოზოვმა, სსრ კავშირის ელჩმა ირანში ი. ვ. სადჩიკოვმა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ვ. პ. მიგუნოვმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ა. პარფენოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა კ. რ. სინილოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ახლო და შუა აღმოსავლეთის განყოფილების გამგემ ფ. ფ. მოლოჩკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შუა აღმოსავლეთის განყოფილების გამგემ ს. ი. სიჩევმა.

წამსვლელნი გააცილეს აგრეთვე მოსკოვში ირანის საელჩოს წევრებმა მრჩეველ ბ-ნ ა. ეტესამის მეთაურობით, სსრ კავშირში ირანის ელჩის მეუღლემ ქ-ნმა რ. ახიმ, დიდი ბრიტანეთის დროებით საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა ფ. რობერტსმა, ამერიკის შეერთებული შტატების დროებით საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა დ. კენანმა, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებით საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა პ. შარპანტიემ.

გაცილებისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ირანისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო ირანისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

ბ-ნ კავამ-ეს-სალტანეს განცხადება

აეროდრომზე მოსკოვიდან გაფრენის წინ ირანის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა კავამ-ეს-სალტანემ მიკროფონის წინ შემდეგი განცხადება გააკეთა:

„საბჭოთა კავშირის დედაქალაქიდან გამგზავრებისას მსურს ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ბ-ნ მოლოტოვს იმ განსაკუთრებული თავაზიანი მიღებისათვის, რომელიც პირადად მე და მთელ ჩვენს დელეგაციას გაუმართეს. მოსკოვიდან წასვლისას თან მიმაქვს სრული რწმენა, რომ ახლო მომავალში ყველა გაუგებრობა გადაჭრილ იქნება, ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება და ჩვენ შორის დამყარდება გულწრფელი მეგობრული ურთიერთობა, როგორც ჩვენ გვსურს“.

ტყიბულელებმა გადაჭარბებით შეასრულეს იანვარ-თებერვლის გეგმა

ტყიბული (**„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან**). აქ თებერვალში ყველას გაუსწრო სტალინის სახელობის შახტმა, რომელმაც ქვანახშირის ამოღების გეგმა 122 პროცენტით შეასრულა, ხოლო ახალი სანგრევების მომზადების გეგმა—135 პროცენტით. საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება შახტის კოლექტივმა პირნათლად შეასრულა. გეგმის გადამეტებით ამოღებულია 3.378 ტონა ქვანახშირი.

სტალინის სახელობის შახტში ყველაზე წინ არის მერვე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული სამთო ტექნიკოსი პ. ნანიკაშვილი ხელმძღვანელობს. ამ უბნის მეშახტეებმა თებერვალში გეგმის გადამეტებით 131 ტონა ქვანახშირი ამოიღეს, ხოლო ახალი სამუშაო უბნების მომზადების გეგმა 122 პროცენტით შეასრულეს.

ლენინის სახელობის შახტმა ქვანახშირის ამოღების თებერვლის გეგმა 108 პროცენტით შეასრულა. ყველა უბანმა, გარდა მეოთხე საექსპლოატაციო უბნისა, გადაჭარბებით შეასრულა დავალება. შესანიშნავ წარმატებებს აღწევს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული ლ. გოჩელაშვილი, რომელიც ქვანახშირის ნგრევის ყოველდღიურ დავალებებს 150-200 პროცენტით ასრულებს.

სუსტად იმუშავა თებერვალში გელათის მაღარომ, რომელმაც ქვანახშირის მოპოვების გეგმა 94 პროცენტით შეასრულა, ხოლო მოსამზადებელი სამუშაოებისა—72-ით.

მთლიანად ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა იანვარ-თებერვლის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა.

დ. ქათამაძე

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

თბილისში ჩამოვიდნენ სომხეთის სსრ ჰოქტომბერიანის რაიონის სოფელ ფოქრ შაღრიარის ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლები, რომლებიც გაემგზავრნენ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად.

დელეგაციაში შედიან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ხაჩიკ ხაჩიკიანი, ბრიგადირი დავით დავითიანი, მერგოლურეები ანა ავჩიანი, ოსანა მარტიროსიანი და სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „კომუნისტის“ წარმომადგენელი აშოტ დაგბაშიანი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერ მუშაკებისათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეცნიერების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება:

1. **ბაქრაძეს** კონსტანტინე სპირიდონის-ძეს — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
2. **ბარამიძეს** ალექსანდრე გიორგის-ძეს—ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს სამეცნიერო დარგში.
3. **ბერძენიშვილს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს—ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
4. **ბიუსს** ევგენი ივანეს-ძეს — სეისმოლოგს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიური განყოფილების გამგეს.
5. **ვაჩეიშვილს** ალექსანდრე კონსტანტინეს-ძეს—სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
6. **გოცირიძეს** არკადი ფილიპეს-ძეს—სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
7. **ჯანაშიას** სიმონ ნიკოლოზის-ძეს—ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
8. **ჯანელიძეს** ალექსანდრე ილარიონის-ძეს—გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
9. **ზავრიევს** დავით ქრისტეფორეს-ძეს — ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორს.
10. **ზაიცევს** ფილიპე ადამის-ძეს—ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს.
11. **კანდელაკს** ბიძინა სიმონის-ძეს—ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.
12. **კვარაცხელიას** ტარასი ყარამანის-ძეს — სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს.
13. **კეცხოველს** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს.
14. **ყიფშიძეს** ივანე ანდრიას-ძეს — კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორის მოვალეობის აღმსრულებელს.
15. **კოროლკოვს** დიმიტრი მაქსიმეს-ძეს — ბერიას სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს.
16. **ქოიავას** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს—ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
17. **მარკოვს** ევგენი ლევის-ძეს—ბიოლოგს.
18. **მუსხელიშვილს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს — ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
19. **ნამორაძეს** ალექსანდრე გიორგის-ძეს — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
20. **ნათაძეს** გიორგი მიხეილის-ძეს—სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
21. **თვალჭრელიძეს** ალექსანდრე ანტონის-ძეს—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
22. **ტალახაძეს** ილარიონ ილარიონის-ძეს — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
23. **თოფურიას** ვარლამ ტრიფონის-ძეს — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
24. **უზნაძეს** დიმიტრი ნიკოლოზის-ძეს—ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
25. **უმიკოვს** ნერსეს ზაქარიას-ძეს—სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების № 2 ტუბერკულოზის დისპანსერის ბავშვთა განყოფილების გამგეს.
26. **ხომიზურაშვილს** ნიკოლოზ მიხეილის-ძეს — სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორს, ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს.
27. **ჩიქობავას** არნოლდ სტეფანეს-ძეს — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
28. **ჩუბინაშვილს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს — ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1946 წ. 5 მარტი, ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება:

1. **აბაშიძეს** ილია სოლომონის-ძეს — ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
2. **აბელიშვილს** ელენე დავითის-ასულს — თბილისის 1-ლი მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.
3. **აზნაურიძეს** ტარასი სარდიონის-ძეს — საქართველოს სსრ განსახკომის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგეს.
4. **აბულაძეს** პლატონ ქრისტეფორეს-ძეს — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.
5. **ალექსანდროვას** ვერა პეტრეს-ასულს — თბილისის 6-7 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
6. **არონიშიძეს** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს —მახარაძის რუსული საშუალო სკოლის დირექტორს.
7. **ახალკაცს** პავლე დავითის-ძეს—თბილისის მე-2 მუსიკალური სასწავლებლის დირექტორს.
8. **ბებურიშვილს** თამარ მიხეილის-ასულს — პედაგოგს, ი. გოგებაშვილის სახელობის თბილისის სახალხო განათლების ბიბლიოთეკის თანამშრომელს.
9. **ბერაძეს** ნიკოლოზ დიმიტრის-ძეს—გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგეს.
10. **ბასილაშვილს** ნატალია ლუკას-ასულს — თბილისის ქალთა მე-19 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
11. **ბერიძეს** გიორგი მიხეილის-ძეს — თბილისის ქალთა 34-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
12. **ბეშკენაძეს** ალექსანდრე გიორგის-ძეს — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.
13. **ბოკუჩავას** ნიკოლოზ ავქსენტის-ძეს—ცხაკაიას პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს.
14. **ბურაკოვსკაიას** მარიამ სტეფანეს-ასულს— სტალინირის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
15. **ვარდიაშვილს** ნინო მათეს-ასულს — თბილისის ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
16. **ვართაგავას** იპოლიტე პეტრეს-ძეს — გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს.
17. **ვახვახიშვილი-წერეთელს** მარიამ რევაზის-ასულს—ქ. თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტს.
18. **გაჩეჩილაძეს** ივანე იოსების-ძეს—თბილისის კბილის სატექნიკო სკოლის მასწავლებელს.
19. **გველესიანს** გრიგოლ დავითის-ძეს—თბილისის ვაჟთა მე-3 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
20. **გაბარაშვილს** კონსტანტინე ბიძინას-ძეს— კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის მასწავლებელს.
21. **გაბუნიას** სუსანა ნიკოლოზის-ასულს — თბილისის 1-ლი მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.
22. **გამსახურდიას** ვალენტინა რომანის-ასულს —თბილისის ქორეოგრაფიული სტუდიის მასწავლებელს.
23. **გეგეჭკორს** ვალერიან ივანეს-ძეს—ცხაკაიას პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს.
24. **გეგეჭკორს** მავრა ზურაბის-ასულს—თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
25. **გეგეჭკორს** თამარ ასლანის-ასულს—თბილისის ქალთა 34-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
26. **გეგიაძეს** ელენე სოლომონის-ასულს — თბილისის ქალთა 25-ე საშუალო სკოლის დირექტორს.
27. **გიგაური-ელბაქიანს** ელენე დავითის-ასულს—თბილისის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
28. **გიორგაძეს** ავქსენტი ოქროპირის-ძეს — ქუთაისის ქალთა მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
29. **გოგავას** ნინო ანტონის-ასულს—თბილისის რკინიგზის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
30. **გოგუაძეს** ანანია ჯამულეთის-ძეს—ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მასწავლებელს.
31. **გუთიკაშვილს** შალვა გიორგის-ძეს — გორის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს.
32. **დარსაველიძეს** ალექსანდრა სილოვანის-ასულს—დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.
33. **დაშკევიჩს** ლეოკადია ივანეს-ასულს — თბილისის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
34. **დაშკევიჩ-მესხს** ეკატერინე ვასილის-ასულს—საქართველოს სსრ შინსახკომის ბავშვთა უპატრონობასთან და უმეთვალყურეობასთან ბრძოლის განყოფილების ინსპექტორს სასწავლო-აღმზრდელობითს დარგში.
35. **დვორაკოვსკის** იაკობს სამუელის-ძეს — ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის რკინიგზის ტექნიკუმის მასწავლებელს.
36. **დეკანოზიშვილს** დიმიტრი თადეოზის-ძეს —საქართველოს სსრ განსახკომის ინსპექტორს.
37. **ჯავახიას** დავით ამბაკოს-ძეს—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილეს.
38. **ჯანჯღავას** არტემ თევდორეს-ძეს—სოხუმის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს.
39. **ძაგნიძეს** ალექსანდრე რომანის-ძეს — ქობულეთის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

კომუნისტი

შაბათი, 9 მარტი, 1946 წ. № 50 (7523).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ

(დასასრული)

40. **ძიძავას** ვალენტინა ხარიტონის-ასულს — სოხუმის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

41. **ჯაფარიძეს** გრიგოლ მალაქიას-ძეს — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.

42. **ჟულელს** ოლღა სიმონის-ასულს—ქუთაისის ქალთა მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

43. **ეგორკინას** ელენე ივანეს-ასულს—თბილისის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

44. **ედიშერაშვილს** ეფრემ ილარიონის-ძეს — გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის შვიდწლედის მასწავლებელს.

45. **ერმოლაევას** ზინაიდა სილიბისტროს-ასულს—ქუთაისის საავიაციო ტექნიკუმის მასწავლებელს.

46. **ზაგურსკაიას** მარიამ ივანეს-ასულს—ლ. პ. ბერიას სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს.

47. **ზედგინიძეს** ანასტასია ანდრიას-ასულს—ქარელის რაიონის ბრეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

48. **ზედგინიძეს** პლატონ ნიკოლოზის-ძეს — თბილისის საავიაციო ტექნიკუმის მასწავლებელს.

49. **ინჯიას** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს — წულუკიძის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს.

50. **იოსელიანს** მარიამ კონსტანტინეს-ასულს —სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.

51. **იოსელიანს** ნატალია ალექსის-ასულს — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.

52. **კაკაბაძეს** ვალერიან ფილიპეს-ძეს — საქართველოს სსრ განსახკომის სამხედრო საჰაერო ძალთა თბილისის სპეციალური სკოლის მასწავლებელს.

53. **კაკაბაძეს** მეთოდე მიხეილის-ძეს—თბილისის საავიაციო ტექნიკუმის მასწავლებელს.

54. **კანდელაკს** ალექსანდრე იოსების-ძეს — თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მასწავლებელს.

55. **კანდელაკს** ანდრია სამსონის-ძეს — სამტრედიის რკინიგზის მე-20 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

56. **კანდელაკს** მელქისედეკ სამსონის-ძეს—ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს.

57. **ქანთარიას** გიორგი ფარნაოზის-ძეს — საქართველოს სსრ მიწსახკომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების უფროს ინსპექტორს.

58. **ქარსანიძეს** ივანე დიმიტრის-ძეს—თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის მასწავლებელს.

59. **ქარუმიძეს** იოსებ ქაიხოსროს-ძეს—თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტს.

60. **კახრაძეს** სიმონ ნიკოლოზის-ძეს—გორის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს.

61. **კვარაცხელიას** იასონ თადეოზის-ძეს — ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

62. **ქვარიანი-ქვანიას** ანა გიორგის-ასულს — ქუთაისის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

63. **კვინიკაძეს** ნიკოლოზ ერმილეს-ძეს — საქართველოს სსრ განსახკომის ინსპექტორს.

64. **კვირკელიას** პლატონ მელქისედეკის-ძეს— საქართველოს სსრ განსახკომის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკის კაბინეტის გამგეს.

65. **კვიტაშვილს** გიორგი ქრისტეფორეს-ძეს— სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.

66. **კეზელს** ბარბარე პეტრეს-ასულს—დუშეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

67. **კეკელიას** გიორგი ივანეს-ძეს—თბილისის რაიონის კოჯრის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

68. **კელენჯერიძეს** ბესარიონ ანტონის-ძეს — ზესტაფონის მოზრდილთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.

69. **ყენიას** მარიამ ნესტორის-ასულს—ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.

70. **კენკაძეს** გიორგი ეგნატეს-ძეს—თბილისის რკინიგზის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

71. **კეჟაყმაძეს** ანასტასია ტერენტის-ასულს— ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

72. **კლდიაშვილს** ოლღა ვიქტორის-ასულს — თბილისის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

73. **ქობულიას** ვასილ მაქსიმეს-ძეს—საქართველოს სსრ განსახკომის მოზრდილთა სკოლების პედაგოგიური კაბინეტის გამგეს.

74. **კორძაიას** ვერა ბესარიონის-ასულს — ქუთაისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

75. **ყუბანეიშვილს** გიორგი პავლეს-ძეს—ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

76. **კუკავას** პარმენ ზოსიმეს-ძეს—თბილისის ვაჟთა მე-14 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

77. **ყურაშვილს** ტერენტი ეგნატეს-ძეს—ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორს.

78. **კუჭავას** ეკატერინე ერმილეს-ასულს — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის მონასტრის საშუალო სკოლის დირექტორს.

79. **ლევიცკის** გიორგი პეტრეს-ძეს—თბილისის საავიაციო ტექნიკუმის მასწავლებელს.

80. **ლეჟავას** სეფე პაატას-ძეს—ხაშურის რკინიგზის მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

81. **ლოლუას** ავრაფინა დავითის-ასულს — ფოთის დაწყებითი სკოლის გამგეს.

82. **ლორთქიფანიძეს** გრიგოლ კონსტანტინეს-ძეს—თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტს.

83. **ლორთქიფანიძეს** სოლომონ მიხეილის-ძეს —თბილისის საამშენებლო ტექნიკუმის მასწავლებელს.

84. **მაისურაძეს** ევსევი არტემის-ძეს—ამბროლაურის რაიონის გოდიშის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

85. **მამულაიშვილს** ოლღა ივლიანეს-ასულს— საქართველოს სსრ განსახკომის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კაბინეტის გამგეს.

86. **მახარაშვილს** დანიელ გიორგის-ძეს—ქუთაისის ქალთა მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

87. **მგალობლიშვილს** ალექსანდრე ფილიპეს-ძეს—თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგეს.

88. **მგელაძეს** ნიკოლოზ დიმიტრის-ძეს—თბილისის საავიაციო ტექნიკუმის მასწავლებელს.

89. **მებურიშვილს** ამბროსი ბესარიონის-ძეს— თბილისის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

90. **მეზვრიშვილს** მარიამ ალექსანდრეს-ასულს —თელავის რაიონის კისისხევის შვიდწლედის დირექტორს.

91. **მელიქაძეს** დავით ისიდორეს-ძეს—პედაგოგს, საქართველოს სსრ განსახკომის სამმართველოს უფროსს.

92. **მესხს** გრიგოლ პართენის-ძეს — ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა სასახლის ფერწერის კაბინეტის ხელმძღვანელს.

93. **მიხაილოვას** მარიამ ალექსანდრეს-ასულს —თბილისის რკინიგზის ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

94. **მუჯირს** ანტონ სილოვანის-ძეს—საქართველოს სსრ განსახკომის ინსპექტორს.

95. **მხეიძეს** შალვა სიმონის-ძეს—თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

96. **ნადარეიშვილს** ანა (ფლორენცია) მიხეილის-ასულს — ცხაკაიას რკინიგზის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

97. **ნადირაძეს** პავლე დიმიტრის-ძეს — ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

98. **ნანეიშვილს** კონსტანტინე ყარამანის-ძეს —სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.

99. **ნაცვლიშვილს** ანა გიორგის-ასულს — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.

100. **ნაცვლიშვილს** სერაპიონ იროდის-ძეს— ბათუმის ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორს.

101. **ნაჭყებიას** დავით ფარნაოზის-ძეს — აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის ბაბუშერის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

102. **ოვიანს** პოლოს გაბრიელის-ძეს—პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებელს.

103. **ოდიშარიას** ევგენი ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ განსახკომის ინსპექტორს.

104. **პაპიტაშვილს** ვასილ ერმილეს-ძეს — თბილისის ვაჟთა 21-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

105. **პარკაიას** ნინო მარკოზის-ასულს — საქართველოს სსრ განსახკომის თბილისის უსინათლოთა სკოლის მასწავლებელს.

106. **ფერაძეს** ირაკლი ილიას-ძეს—ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

107. **ფერაძეს** თომა ვასილის-ძეს—თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

108. **პეტრიაშვილს** ელენე ვასილის-ასულს — ქუთაისის ქალთა მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

109. **ფირცხალავას** დოროთე ალექსის-ძეს — ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა სასახლის პედაგოგიური ნაწილის დირექტორის მოადგილეს.

110. **ფირცხალავას** სევერიანე ალექსის-ძეს — ცხაკაიას ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.

111. **პოპოვას** ევგენია ალექსანდრეს-ასულს— თბილისის რკინიგზის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

112. **პროცენკოს** ოლღა იურის-ასულს—თბილისის ქალთა 25-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

113. **რაზმაძეს** ელენე მიხეილის-ასულს — თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის მასწავლებელს.

114. **რიადნოვას** ნინო ალექსანდრეს-ასულს —თბილისის 1-ლი მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.

115. **რუდენკოს** ივანე გრიგოლის-ძეს — თბილისის მუსიკალური სტუდიის მასწავლებელს.

116. **საყვარელიძეს** ეკატერინე ვლადიმერის-ასულს—თბილისის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

117. **სამსონიას** ანა იაკობის-ასულს—თბილისის ქალთა მე-16 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

118. **სამსონიას** სალომე გიტოს-ასულს—ბათუმის რკინიგზის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

119. **სანაკოევს** ნიკოლოზ დავითის-ძეს — სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს.

120. **სანიკიძეს** ალექსანდრა ვასილის-ასულს —თბილისის ვაჟთა მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

121. **სარჩიმელიას** ალექსანდრე გიორგის-ძეს —ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

122. **სოხაძეს** მარიამ კონდრატეს-ასულს — თბილისის ვაჟთა მე-20 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

123. **სოხაძეს** ნინო კონდრატეს-ასულს—თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილეს.

124. **სულავას** არჩილ პეტრეს-ძეს—ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს.

125. **სუმაროკოვს** ფეოდოსი ალექსანდრეს-ძეს —საქართველოს სსრ განსახკომის სამხედრო საჰაერო ძალთა თბილისის სპეციალური სკოლის უფროსს.

126. **სხულუხიას** სამსონ გიორგის-ძეს—გეგეჭკორის რაიონის სოფ. სალხინოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

127. **თალაკვაძეს** ქსენია ივანეს-ასულს — ბათუმის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

128. **ტერ-გევონდიანს** ანა გრიგოლის-ასულს —თბილისის ვაჟთა 31-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

129. **თოთიბაძეს** კონსტანტინე ანტონის-ძეს— თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

130. **ფოტინოვს** ლავრენტი დემიანეს-ძეს — თბილისის ვაჟთა 28-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

131. **ხარაზაშვილს** ელენე კონსტანტინეს-ასულს—ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მასწავლებელს.

132. **ხარებოვას** მარიამ ივანეს-ასულს — სტალინირის ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.

133. **ხიზანიშვილს** ვლადიმერ ონისიმეს-ძეს— ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მასწავლებელს.

134. **ხირსელს** თამარ ზაალის-ასულს—სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

135. **ცივილინას** ზინაიდა ივანეს-ასულს — თბილისის ქალთა 21-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

136. **ცისკარიშვილს** გიორგი ივანეს-ძეს — ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

137. **წულეისკირს** ბარბარე გიორგის-ასულს— მუშა ახალგაზრდობის თბილისის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

138. **წულუკიძეს** ნინო დიმიტრის-ასულს — ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

139. **ცხაკაიას** კალისტრატე ნესტორის-ძეს— ზუგდიდის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს.

140. **ჩერნიავსკაიას** ევგენია ვასილის-ასულს— თბილისის მუსიკალური ათწლედის მასწავლებელს.

141. **ჩიჯავაძეს** ანა გიორგის-ასულს — თბილისის მუსიკალური ათწლედის სასწავლო ნაწილის გამგეს.

142. **ჩიქვაიძეს** ზინაიდა კალისტრატეს-ასულს —ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს.

143. **ჩიქობავას** ბენედიქტე ექვთიმეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სკოლების განყოფილების მეთოდისტს.

144. **ჭიჭინაძეს** ვერა კონსტანტინეს-ასულს — თბილისის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს.

145. **ჩიხლაძეს** ევსევი ივანეს-ძეს—თბილისის საავიაციო ტექნიკუმის მასწავლებელს.

146. **ჭყონია-სტურუას** აღათი ლომინის-ასულს —თბილისის რკინიგზის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

147. **ჩხენკელს** ვლადიმერ პავლეს-ძეს — პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებელს.

148. **შაფაქიძეს** ლუბა სიმონის-ასულს—თბილისის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

149. **შარაძენიძეს** სიმონ ბესარიონის-ძეს — პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგეს.

150. **შახტახტინსკაიას** ნაზლი ისა სულთან ყზის—თბილისის ქალთა 37-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

151. **შუშანიას** ონოფრე ივანეს-ძეს—საქართველოს სსრ განსახკომის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1946 წ. 5 მარტი. ქ. თბილისი.

მოლოტოვის რაიონის პარტიული აქტივის კრება

თბილისის მოლოტოვის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე, მოხსენებით—„ამხანაგ სტალინის სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე და პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები“—გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ლუარსაბოვი.

— ამხანაგ სტალინის სიტყვა,— სთქვა მან,—საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი აყვავების დიადი პროგრამაა. ჩვენი რაიონის მშრომელებმა ბელადის ისტორიულ სიტყვას ახალ საწარმოო ვალდებულებათა აღებით უპასუხეს. ისინი წარმატებით იბრძვიან ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის, ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

დიდი მუშაობა სწარმოებს ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვის საფუძვლიანად შესწავლისათვის. ამ მიზნით რაიკომის პარტკაბინეტში და საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები და კონსულტაციები. პროპაგანდა კარგად დააყენეს ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის, პირველი სამკერვალო ფაბრიკის, 23-ე და 24-ე სკოლის პარტიულმა ორგანიზაციებმა.

საწარმო-დაწესებულებებისა და არტელების მუშა-მოსამსახურეთა ნაწილმა სურვილი განაცხადა ბელადის სიტყვა შეესწავლა წრეებში. ამიტომ ჩამოყალიბებულ იქნა 30-მდე წრე. მათთვის შერჩეულია მომზადებული პროპაგანდისტები. წრეები უკვე შეუდგნენ მუშაობას.

აგიტატორებისათვის ეწყობა აგიტკოლექტივების სპეციალური მეცადინეობანი ამხანაგ სტალინის სიტყვის შესწავლის საკითხზე. აგიტატორები ბაიდაური (პირველი სამკერვალო ფაბრიკა), ბერიძე (საქენერგო), მაისურაძე, კვირიკაშვილი (მე-17 პოლიკლინიკა), ბარაბაძე, ხუდატიანი, მირზოევი კარგად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

ამ დღეებში დიდი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, რომლებზეც დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი ამხანაგ სტალინის სიტყვის შესასწავლად და ბელადის მიერ დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად. ამასთან დაკავშირებით გაძლიერდა საწარმოო აღმავლობა. რაიონის საწარმოებმა მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა 100,6 პროცენტით შეასრულეს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანამ თებერვლის გეგმა 25 რიცხვისათვის 115 პროცენტით შეასრულა. ნაკისრი ვალდებულებები თებერვალში გადაჭარბებით გაანაღდეს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა, № 2 საკონდიტრო ფაბრიკამ და სხვა საწარმოებმა.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ნ. ავაქოვმა, რომელიც კამათში გამოვიდა, ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა პატრიოტული თავდადებით მუშაობდა ქარხნის კოლექტივი სამამულო ომის დღეებში ფრონტის საჭიროებისათვის.

— სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ ქარხანა გადავიდა სამოქალაქო საგნების წარმოებაზე. ჩვენი კოლექტივი არჩევნების დღეებში ენერგიულად მუშაობდა და გეგმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებდა. ქარხნის მიერ გამოშვებული მანქანები იგზავნება მოძმე რესპუბლიკებში, რომლებმაც სამამულო ომის დროს ნგრევა განიცადეს.

ამხანაგ სტალინის სიტყვის პასუხად ქარხანაში უმაგალითო შრომითი აღმავლობა დაიწყო. დღითი-დღე იზრდება სტახანოველთა რიგები. იანვარში ქარხანაში 124 სტახანოველი იყო, ამჟამად მათი რიცხვი 161-ს უდრის. მათი უმრავლესობა ყოველდღიურ დავალებას ერთისამად და ერთიოთხად ასრულებს.

ქარხნის მუშა-მოსამსახურენი დიდი ინტერესით სწავლობენ ბელადის სიტყვას. მათ ამ საქმეში ეხმარებიან ქარხნის აგიტატორები კევლიშვილი, ბალდასაროვი, მირზოიანი და სხვები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა მიხეილ შიშნიაშვილმა ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რაც ინსტიტუტის წინაშე დგას.

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. თ. ვერულაშვილმა სთქვა:

— ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა დიდი ინტერესით სწავლობს ბელადის ისტორიულ სიტყვას. ახალგაზრდა აქტივისტთა დიდი უმრავლესობა პროპაგანდისტულ-საგიტაციო მუშაობას ეწევა. ბელადის სიტყვის შემსწავლელი ახალგაზრდების დასახმარებლად იმართება ლექციები და მოხსენებები. კომკავშირის რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფმა მოაწყო მოხსენებები თემებზე: „მეორე მსოფლიო ომის წარმოშობა და მისი მიზეზები“, „ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის სტალინური გეგმა“, „ლენინ-სტალინის პარტია—ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია“.

აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.

საქართველოს ნავთსაძიებო უბნების კოლექტივთა შეჯიბრება

წითელწყარო („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). მლაშისხევის ნავთსაძიებო უბანზე დიდი შრომითი აღმავლობაა. უბნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის ჭაბურღილების ამომღები ჯგუფების სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად. უკანასკნელ ხანებში დაწინაურდა ის ჯგუფი, რომელსაც ოსტატი ს. კოჩიევი ხელმძღვანელობს. თებერვლის მეორე ნახევარში ამ ჯგუფმა ჭაბურღილი 450 მეტრის სიღრმეზე გაბურღა.

სტახანოვური მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან მბურღავები კოჭლამაზაშვილი და კულიკოვი. ისინი სადღეღამისო დავალებებს 500 პროცენტით ასრულებენ.

ქართული ბატალიონის აჯანყება *

აღარ იყო ქვეყანაზე იარაღი, რომ ქართველების წინააღმდეგ არ აემოქმედებინათ. მტერმა მოაყარა ტანკები, ექვსლულიანი ნაღმსატყორცნები. ცამეტ აპრილს ოუდელშილდში კვლავ გადმოსხდა სამი ბატარია და მეავტომატეთა ათასეული. მთელი ეს ძალა კვლავ იერიშზე წამოვიდა. კუნძულზე ისმოდა განუწყვეტელი გრუხუნი, სროლა, ისმოდა ქართულიც — „ვაიმე, დედავ“, რომელსაც სასიკვდილო ხრიალიდა მოსდევდა. მიწა შადრევნებად ადიოდა, აიმართებოდა სვეტებად და მერე ქვიშადქცეულ წვიმად ეცემოდა დაბლა. შემაზრზენად ღმუოდა შრაპნელი, შრიალით მოდიოდა ყუმბარა და თითქოს ზღვის ტალღების თქაფუნს მოძახილს ეუბნებოდა. გაუჭირდათ ქართველებს, ტყვია-წამალი აღარა ჰყოფნიდათ. თითო ვაზნა თავის წონა ოქროზე ძვირი ღირდა ახლა, ოქროზე კი არა, სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი იყო. „ტყვია დაზოგეთ ბიჭებო, თითო გერმანელს თითო ტყვია აკმარეთ“,—აფრთხილებდნენ მეთაურები მებრძოლებს. ქართველები ახლა სწრაფ მანევრირებას მიმართავდნენ, მოულოდნელად ესხმოდნენ თავს გერმანულ ჯარს და სასწრაფოდ გაეცლებოდნენ. დაილოცოს მუდამ ნისლიანი ფრისლანდია—ამ ნისლმა ბევრჯერ შეუმჩნევლად ადგილის გადანაცვლების საშუალება მისცა ქართველებს.

ქართული ბატალიონის წინააღმდეგ ჩვიდმეტი გერმანული ტანკი მოქმედებდა. რა არ იღონეს ბიჭებმა, რომ ეს ტანკები დაემარცხებინათ. ქვებს უგებდნენ გზაში და იმით აჩერებდნენ. ერთხელ შვიდი ტანკი შენიშნეს არტემიძემ, ჯანჯღავამ და გუჯაბიძემ. გზაზე აგურები დააწყეს და მიწა დააყარეს. საკმარისი იყო ტანკისტი გადმომხტარიყო მანქანიდან, უბრალოდ, ფეხით ეს მიწა და აგურება გადაეყარა, მაგრამ ვერ გაბედა, დანაღმული ეგონა და შვიდივე ტანკი უკან გაბრუნდა.

ასე მიდიოდნენ დღეები და ბრძოლა უფრო მძვინვარე, უფრო თავგანწირული ხდებოდა. გერმანელებმა მთავარი ძალა ახლა ბატალიონის შტაბს მიუსიეს. თექვსმეტ აპრილს ცხრა მძიმე ტანკი ჩაება ბრძოლაში. სამი გაემართა ბატალიონის შტაბისაკენ, ექვსმა კი გონგლაძის ასეულზე მიიტანა იერიში. მოდიოდნენ ტანკები, არცერთი ქართველი არ გაქცეულა არა მარტო იმიტომ, რომ გასაქცევი აღარსად იყო ამ ღვთისა და კაცისაგან დაწყევლილ კუნძულზე. საით წავიდოდნენ? ფრინველები ხომ არ იყვნენ რომ ცაში აფრენილიყვნენ. არ გაიქცნენ არა მარტო იმიტომ, რომ იცოდნენ—ტანკი ყველაზე უფრო ადვილად გაქცეულსა სრესს, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ არ გატეხილან, სულით არ დაცემულან. საზარელი გრუხუნით მოდიოდნენ ტანკები ჩვენს მებრძოლებზე. მოწინავე ტანკი რაღაც ღარტაფში ჩაეშვა, მაგრამ ისევ ამობობღდა და ცოფიანი მბრდღვინავი ურჩხულივით წამოვიდა დამუქრებული, მოიზლაზნებოდა, თანდათან იზრდებოდა მებრძოლთა თვალწინ. წუთით თითქოს შეკრთნენ ბიჭები და ის იყო ევგენი არტემიძის ხმა გაიგონეს:

— არ შეშინდეთ, ბიჭებო!

და სადღაც გადარჩენილი თოფის ყუმბარა („გევერგრანატვერფენ“) წამოაგო არტემიძემ შაშხანის ლულაზე. როცა ესროლა, ტანკს მუხლუხა გაუწყდა და თხრილში გადაიჩეხა. დანარჩენი ტანკები უკან გაბრუნდნენ. ქართველებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. აქაც იხსნა ისინი არტემიძემ. ტყუილად კი არ მღეროდა ჩონგურზე ბატალიონის პოეტი ლადო სეხნიაშვილი:

„ვინც უღალატოს ევგენის,
ცრემლი ედინოს თვალზედა“.

ევგენი არტემიძე
ბატალიონის პარტორგი

ანნი კლაინი
კომპარტიის ქ. ჰარლემის რაიკომის მდივანი

შალვა ლოლაძე
ბატალიონის მეთაური

ასე განუწყვეტლად გრძელდებოდა ბრძოლები. აღარავის ახსოვდა ძილი, აღარ იყო არც დღე, აღარც ღამე, აღარ იყო დასვენება. ამდენმა მარცხმა უარესად გააცოფა გერმანელები. მათ ახალი დესანტი გადმოსხეს. ოც აპრილს, დილით, მეზობლად მდებარე ვლილანდის კუნძულიდან კვლავ დაიწყო სროლა ავტომატურად მომქმედმა ზარბაზნებმა. ის იყო გერმანელთა ათასეული შეტევაზე გადმოვიდა. მას ოთხი ფრანგული ტიპის ჯავშნოსანი ეხმარებოდა. სიტყვა უძლურია სრულად გადმოსცეს ქართველი ბიჭების მხნეობა და ამტანობა. რომელი ერთი ვაჟკაცის სახელი ვახსენო? ოცმეთაურმა წილოსანმა მტერს გზა გადაუჭრა ასეულისკენ, მეტყვიამფრქვევეებმა—ვაშაკიძემ და ჯოჯიშვილმა ნაბიჯი არ გადმოადგმევინეს გერმანელებს. ვეფხვებივით იბრძოდნენ იმ დღეს ტატუნაშვილი, მაზაშვილი და ანანიძე. ვინ ჩამოსთვლის ყველას? ბევრი ველარც გადარჩა იმ ბრძოლაში. ვაშაკიძე ნაღმმა სასიკვდილოდ დასჭრა, ტყვიამფრქვევი ჯოჯიშვილს ფიცით გადასცა და სიკვდილის წინ სამშობლოსადმი სალამი დაუბარა.

იარაღით რომ ვერაფერს გახდნენ, გერმანელებმა ჰოლანდიელ მოსახლეობას მიმართეს. ყველგან ფურცლები გააკრეს: ლოლაძის, არტემიძის, გონგლაძისა და ანთიძის თავი ათას-ათას გულდენად დააფასეს. მაგრამ არცერთმა ჰოლანდიელმა ქართველი ვაჟკაცების სისხლში ხელი არ გაისვარა.

ვერაფერმა მოსტეხა ქართველთა სული. ერთზე ასი მოდიოდა და მაინც ეს ერთი იყო გამარჯვებული. როცა ნოე გონგლაძე ფეხში დაიჭრა, მან მაინც არ მიატოვა ბრძოლა. ხუტა თურქიას მხარზე დაყრდნობილი, ის კვლავ მიუძღოდა წინ ასეულს. როცა კოტე ბალაშვილი და ვალოდია ხაინდრავა მძიმედ დაიჭრნენ, უკანასკნელი ტყვია მკერდში დაიცალეს, რომ ცოცხალი მტერს არ დანებებოდნენ. წილოსანი და ასათიანი დასახვრეტად წაიყვანა ოთხმა გერმანელმა, მაგრამ მათ ეს დამხვრეტელნი თვითონ დახოცეს და ისევ დაბრუნდნენ ბატალიონში. როცა მიტო გიგაშვილი მძიმედ დაჭრილი და გონწასული გერმანელებმა ხელთ იგდეს, მოაბრუნეს და სახრჩობელაზე აიყვანეს, მისი უკანასკნელი სიტყვები იყო—„გაუმარჯოს დიდ სტალინსო!“. მოხევე ლუდუშაური მარტო ერთი ებრძოდა მტრის ოცეულს და ამ ბრძოლაში დაიღუპა. პლაცენდალში ხუთ ქართველს გერმანელთა ასეული შეესია. უკანასკნელ ვაზნამდე იბრძოდნენ ქართველები. ამ ბრძოლაში დაეცნენ მიხეილ ქაძღარაშვილი, თეიმურაზ ნატროშვილი, სამხარაძე და კიდევ ორი მამაცი მეომარი. არცერთი არ გადარჩენილა და არცერთმა წარბი არ შეიხარა სიკვდილის წინ.

ოცდახუთ აპრილს ფლუგპლაცის ახლოს კაპიტან შალვა ლოლაძეს მტრის ასეული დაესხა თავს. მებრძოლებს ალყა შემოარტყეს და ყველანი დახოცეს. დაიღუპა მამაცი კაპიტანი თავის თორმეტ მებრძოლთან ერთად. ამის შემდეგ ბატალიონის მეთაურად ლეიტენანტი ნოე გონგლაძე დაინიშნა. ბრძოლებშივე დაიღუპნენ ჯანჯღავა და გუჯაბიძე. ეს სამი კაცი კომიტეტში ვარლამ ებრალიძემ, მამია პაჭკორიამ და ვალიკო ქლენტმა შესცვალეს.

ქართველებმა მაინც არ შესწყვიტეს ბრძოლა. არ დაანებეს მტერს ის მიწა. წმინდა მიწა იყო ის. ლოლაძის სისხლი იყო იქ დაღვრილი, ქართველების სისხლით იყო ის მორწყული. ხოლო ქართველ კაცს სადაც ძმაკაცის კუბოს ფიცარი ეგულება—იმას ვერ გაიმეტებს დასათმობად და მტერს არ მისცემს წასაბილწად. ამიტომ ამბობდა შაირში ლადო სეხნიაშვილი:

„გენაცვალე, კუნძულ ტექსელო,
ქართველებისა ბინაო,
რომ მეჩვენები ძილშია
წარმომიდგები წინაო,
მანდ დაგიტოვეთ ჩვენ ძმები
ველარ წამოვლენ შინაო,
სამშობლოს თავი შესწირეს
შენთან მიიღეს ბინაო.“

გერმანელები ტექსელზე იბრძოდნენ თვით ბერლინის დაცემის და უსიტყვო კაპიტულაციის შემდეგაც კი. თვრამეტ მაისამდე აქ ბრძოლა არ შეწყვეტილა. ამ ხნის განმავლობაში ქართველებმა ორიათას ხუთასი გერმანელი გასწყვიტეს.

ხუთი აპრილიდან თვრამეტ მაისამდე, ორმოცდასამი დღის განმავლობაში ტყვია წვიმდა ქართველების თავზე, ორმოცდასამი დღის განმავლობაში ცეცხლი თოვდა მათ ირგვლივ, სიკვდილი ბრუნავდა მათ თავზე, შვიდასორმოცდაათიდან ორასოცდაოთხილა გადარჩა, მაგრამ მაინც გაუმაგრდნენ, მაინც გაუძლეს, მაინც არ გატყდნენ.

ნეტავი შენ ჩემო ქვეყანავ, რომ ასეთი შვილები გაჰზარდე!

ნეტავი შენ საქართველოვ!

* * *

თვრამეტ მაისს ტექსელზე გადმოსხდნენ კანადის ჯარები, რომელნიც აპრილის ბოლოს ცვოლეს მახლობლად, ზუდერზეესთან იბრძოდნენ. ქართველებმა მოაგროვეს დახოცილი თანამოძმენი, ადრე რომ ოსტერენდში, დენბურგში, კოგსდორფში, ვალენბურგში, დეკოგში და დევალში ემარხნენ და ერთ საერთო ძმათა სასაფლაოში დამარხეს. ხუთას ოცდაექვსი ქართველი მარხია ეხლა ტექსელის მიწაზე, ქალაქ დენბურგის მახლობლად.

კანადის ჯარებს კუნძულზე თან ჩაჰყვნენ ანნი კლაინი, ვან-ლემერენი, ჟურნალისტები. კინოხელოვნების წარმომადგენლები. მათ ინახულეს თავისი ძველი ნაცნობები, ქართველი მეომრები, ზეიმით წამოიყვანეს ისინი კონტინენტზე და ამსტერდამში. „დე ვარჰაიდის“ რედაქციაში საზეიმო შეხვედრაც მოუწყეს. შეხვედრაზე სიტყვა წარმოსთქვა ევგენი არტემიძემ ჰოლანდიურ ენაზე: ქართველთა სახელით მადლობა გადაუხადა ჰოლანდიის ერს. ჰოლანდიურმა გაზეთებმა და კერძოთ „დე ვარჰაიდმა“ ფართო ადგილი დაუთმეს წერილებს ქართველთა ბრძოლის შესახებ, მოათავსეს აჯანყების მეთაურთა პორტრეტები და საზეიმო შეხვედრის ვრცელი ანგარიში.

გადარჩენილი ქართველები ამჟამად ბრუნდებიან სამშობლოში.

გიორგი ნატროშვილი

---

*) დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტის“ №№ 38, 39, 41, 47, 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დავით აღმაშენებელი“

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლი

საქართველოს ისტორიაში დავით მესამის ბრწყინვალე სახელი დამკვიდრდა, როგორც ჩვენი ქვეყნის აღორძინების, სახელმწიფოებრივი განმტკიცებისა და ერთი სამეფო დროშის ქვეშ გაერთიანების სიმბოლო. ხალხმა მას აღმაშენებელი, მეფეთ-მეფე უწოდა. მემატიანე დავითის შესახებ სწერს:

„...ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრობად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა მამამან... განძლიერდა დავით, განამრავლა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს...“

დავითმა დათრგუნა ქვეყნის ორგულნი, შემოიერთა კახეთ-ჰერეთი, შებრძოლა თურქებს, გააფართოვა სახელმწიფოს საზღვრები, შექმნა მუდმივი ჯარი, ააგო ციხე-სიმაგრენი და კულტურის კერები, ააყვავა ხელოვნება და მეცნიერება, ფართო გასაქანი მისცა მწიგნობრობას.

დავით აღმაშენებლის ასეთი რთული და მრავალფეროვანი სახელმწიფო მოღვაწეობის, მისი პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოქცევა დრამატიული ნაწარმოების ჩარჩოებში დიდ სიძნელეს წარმოადგენს. დრამატურგის წინაშე ასეთი დილემა იდგა: ან ყველა მომენტს შეხებოდა დავითის ცხოვრების წარმოსახვისათვის, ან კიდევ ერთ-ერთი რომელიმე მთავარი ხაზი შეერჩია, ჩასჭიდებოდა მას და ამ ერთი კუთხით დაენახვებინა ჩვენთვის დიდი სახელმწიფო მოღვაწის სახე. ამ შემთხვევაში, მართალია, ავტორი ყველაფერს ვერ იტყოდა, სურათი სრული და ყოველმხრივი არ იქნებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ შეიქმნებოდა ერთ მხატვრულ მთლიანობად შეკრული ნაწარმოები. დრამატურგ ლ. გოთუას მეორე გზა აურჩევია. მის დრამაში მოცემულია ჯერ უფლისწულის ცხოვრება და შემდეგ კი ჭაბუკი მეფის მოღვაწეობა, მისი პირველი ნაბიჯები ტახტზე ასვლის შემდეგ.

პიესა „დავით აღმაშენებელი“ დაწერილია თეთრ ლექსად, გამოკვეთილი, ამაღლებული სტილით. მოქმედების განვითარებაში საერთოდ დინამიურობა იგრძნობა, ზოგიერთ ადგილს რომ არ ანელებდეს განსაკუთრებით დავითის ზომაზე მეტად გაჭიანურებული მონოლოგები. სქემატურად, უფერულად არიან მოცემული ქართველი ფეოდალები. ავტორს უფრო რელიეფურად ჰყავს გამოყვანილი კათალიკოსი და გიორგი ჭყონდიდელი. პიესის ძლიერ მომენტად ჩაითვლება დავა საერო და სასულიერო ხელისუფლებათა პრეროგატივების შესახებ. საინტერესოდ არის გადმოცემული ამ საკითხებზე პაექრობა დავითსა და კათალიკოს-პატრიარქს შორის.

ავტორის გააზრებით დავით აღმაშენებელი, ისტორიული სინამდვილის შესაბამისად, მოცემულია როგორც ძლიერი ნებისყოფის, მტკიცე სულის ადამიანი, შთაგონებული სახელმწიფოს ინტერესებისათვის შეუნელებელი ზრუნვით და მიზნის სიცხადით. ურჩ ფეოდალებსა და მათი ზრახვების სულისჩამდგმელს კათალიკოს-პატრიარქს საიდუმლო თათბირზე (მესამე მოქმედების პირველი სურათი) დავითი მრისხანედ უცხადებს:

— მე საკმაო ძალა და გამბედაობა გამაჩნია იმისათვის, რათა ავლაგმო ყველა, ვინც გაკადნიერდება ხელი შეუშალოს ჩემს სახელმწიფოებრივ განზრახვათა განხორციელებას!

ეს სიტყვები ნათლად ამჟღავნებენ დავითის ბუნებას, მის ძლიერ სულს. ამ ნიშნით აქვს გახსნილი როლის შინაარსი რესპუბლიკის სახალხო არტისტს ს. ზაქარიაძეს. მისი მგზნებარე აქტიორული ინტონაცია მთელი სისავსით აღბეჭდავს დავით აღმაშენებლის შინაგან ძლიერებას, ერთხელვე დასახული მიზნისაკენ შეუნელებელ სწრაფვას, საქართველოს ბედნიერებისათვის მებრძოლი გულის ძგერას. უფლებამოსილება არა როგორც თვითმიზანი, არა როგორც ლტოლვა პირადი განდიდებისაკენ, არამედ როგორც საშუალება ქვეყნის აღორძინებისათვის, ერის მაღალი უფლებების დამკვიდრებისათვის, — ამ შეგნებით არის აღჭურვილი ს. ზაქარიაძის მიერ განსახიერებული დავით აღმაშენებელი.

მთელი თავისი აქტიორული ბრწყინვალებით კვლავ წარმოსდგა მაყურებლის წინაშე რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა ღამბაშიძე კათალიკოს-პატრიარქის როლში. მან იმდენი სიღრმე და უშუალობა შთაბერა ამ როლს, ისეთ სიმაღლეზე აიყვანა იგი, რომ სავსებით წარმოგვისახა გოროზი ბუნება სასულიერო ხელისუფლების მეთაურისა, რომელიც ასე იოლად როდი უთმობს ვისმეს ქვეყნის მესვეურობას. თავისი ძალებისადმი ამ შეურყეველ რწმენას იგი ასაბუთებს ბიბლიური აუღელვებლობით, ერუდიტის მტკიცე არგუმენტაციით. ასე სრულყოფილად სცენიური სახის დახვეწა სწორედ იმ ყალიბის შემოქმედს ძალუძს, როგორიც შალვა ღამბაშიძეა.

თავისი მდიდარი აქტიორული შესაძლებლობა უხვად გამოავლინა მზეთვალას როლში რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვერიკო ანჯაფარიძემ. განსაკუთრებით ძლიერია მსახიობი მეოთხე მოქმედების მეორე სურათში, კათალიკოს-პატრიარქის სენაკში, როცა საწამლავის მიღების შემდეგ სიკვდილის მოახლოებას გრძნობს და აღსარებას ეუბნება კათალიკოსს—თავის ღვიძლ მამას. ვ. ანჯაფარიძე ამ სცენაში ტრაგიზმის მწვერვალს აღწევს.

მეფისწულ დავითის აღმზრდელ გიორგი ჭყონდიდელის კოლორიტულ სახეს ჰქმნის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. შავგულიძე. იგი იძლევა კედლის მხატვრობიდან გაცოცხლებული ფრესკის შთაბეჭდილებას.

გუდერახვაი ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი სახეა პიესაში. იგი ქილიკი-მსახიობია, რომელიც მუსლიმანთა ემირმა ბენ-ჯაფარმა მსტოვრად გაგზავნა დავითთან. ნამდვილად კი გუდერახვაი დავით აღმაშენებლის მომხრეა. თავისი ჭეშმარიტი ზრახვების მისაჩქმალავად ეს გულკეთილი და კეთილშობილი ადამიანი მრავალნაირ ხერხს მიმართავს. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. გოძიაშვილი მაღალი აქტიორული ოსტატობით იძლევა ამ რთულ სცენიურ სახეს.

გურანდუხტ დედოფლის როლში მომხიბლავი გარეგნობით დასამახსოვრებელ სახეს ჰქმნის რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნატო ვაჩნაძე.

პიესა დასდგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ტაბლიაშვილმა. ნაწარმოებში მოცემული წამყვანი მომენტების წინა პლანზე წამოწევით, მათთვის ხაზგასმით რეჟისორმა შექმნა პატრიოტული სპექტაკლი.

ამ წარმატებას ხელს უწყობს ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრების ი. სუმბათაშვილისა და ზ. ლაპიაშვილის ნამუშევარი. მათ გამოამჟღავნეს თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი დიდი და რთული ისტორიული ტილოს შესაქმნელად.

ორიგინალურად არის მოფიქრებული სპექტაკლის ძირითადი ჩარჩო და კონსტრუქცია, რომელზეც იშლება მოქმედება, აგრეთვე მუდმივი ფარდა — „ქართული კედელი“, რომელიც ტონს აძლევს სპექტაკლის მთელ მხატვრულ გაფორმებას.

აღსანიშნავია მხატვრული გემოვნებით შესრულებული კოსტიუმები.

პ. ბახტურიძე

კავშირგაბმულობის მუშაკთა დაჯილდოება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის ბრძანებით დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მთელი რიგი მუშაკები.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში ამხ. ი. მონიავას გამოეცხადა მადლობა და დაჯილდოებულ იქნა ერთი თვის ხელფასით; კავშირგაბმულობის 22 მუშაკს მიენიჭა კავშირგაბმულობის ოსტატის წოდება და მიეცა თითო თვის ხელფასი, 88 მუშაკი დაჯილდოებულია ნიშნით—„შეჯიბრების წარჩინებული“ და თითო თვის ხელფასით; მადლობა გამოეცხადა და თითო თვის ხელფასი მიეცა 89 მუშაკს.

ი. ნ. ქარცივაძე—ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში ი. ნ. ქარცივაძემ საჯაროდ დაიცვა დისერტაცია ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ახალგაზრდა მეცნიერის დისერტაცია მიეძღვნა დრეკადობის თეორიის ძირითადი ამოცანების ეფექტური გადაჭრის საკითხს. თავის შრომაში ი. ნ. ქარცივაძემ გადასწყვიტა მთელი რიგი დღემდე ამოუხსნელი ამოცანები, ამასთან წამოაყენა ახალი მარტივი და ორიგინალური მეთოდები ცნობილი ამოცანების გადასაჭრელად.

დისერტანტის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა, ოპონენტებმა—მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პროფესორმა ი. ვეკუამ და ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა ა. გორგიძემ მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა მათემატიკოსის ნაშრომს.

ი. ნ. ქარცივაძეს ერთხმად მიენიჭა ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ახალი ფილმები

თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავისათვის მოამზადა ახალი ხმოვანი დოკუმენტალური ფილმი „სახელოვანი გზა“, რომლის ავტორი და რეჟისორია სიკო დოლიძე. ფილმში ასახულია საბჭოთა საქართველოს მიღწევები მეოთხედი საუკუნის მანძილზე.

კინოსტუდიამ გადაიღო აგრეთვე პირველი ფერადი დოკუმენტალური ფილმი—„საქართველოს შავი ზღვის სანაპირო“, რომლის ავტორი და ოპერატორია შ. გეგელაშვილი. ფილმში გადაღებულია ნარინჯოვანი ველები, ბათუმის, სოხუმისა და გაგრის მიდამოები.

კინოსტუდიამ დაამთავრა ხმოვანი მხატვრული ფილმი „დავით გურამიშვილი“. სცენარის ავტორები არიან: ს. ჩიქოვანი, ორლოვი, ნ. სანიშვილი და ი. თუმანიშვილი.

ოსუბკა-მორავსკის სიტყვა პოლონეთის სოციალისტური პარტიისა და პოლონეთის მუშათა პარტიის აქტივის კრებაზე ვარშავაში

ვარშავა, 5 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „რეჩ პოსპოლიტამ“ გამოაქვეყნა ანგარიში ოსუბკა-მორავსკის გამოსვლის შესახებ პოლონეთის სოციალისტური პარტიისა და პოლონეთის მუშათა პარტიის აქტივის კრებაზე ვარშავაში.

„ჩვენ შევდივართ პოლიტიკურ ურთიერთობათა ახალ ეტაპში,—განაცხადა ოსუბკა-მორავსკიმ.—ასეთი ეტაპი უკვე რამდენიმე იყო. პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს 1939 წლის სექტემბრიდან პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნამდე; მეორე ეტაპი მოიცავს დროს პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნიდან ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნამდე; მესამე ეტაპი—ის პერიოდია, რომელიც იწყება ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნით და დღევანდლამდე გრძელდება.

მესამე პერიოდის დასაწყისში ვფიქრობდით, რომ შეგვემატა ახალი ძალები, რომ მოხდა ხალხის სრული გაერთიანება, რომ ვიცე-პრემიერ მიკოლაიჩიკის გარშემო გაერთიანებულმა ჯგუფმა გულწრფელად აღიარა თავისი წარსული შეცდომები და დადებითს მუშაობას შეუდგა. მაგრამ პირველივე დღეებიდან ამ ჯგუფმა დაიწყო ოპოზიციის შექმნა“.

ოსუბკა-მორავსკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯგუფი, რომელსაც სათავეში ვიცე-პრემიერი მიკოლაიჩიკი უდგას, თავიდანვე ორ სკამზე იჯდა. საჭირო იყო იმ მდგომარეობის გამორკვევა, სურს თუ არა ამ ჯგუფს დემოკრატიულ ბლოკთან თანამშრომლობა თუ იგი პრინციპულად არ ეთანხმება მას და მოწინააღმდეგე ბანაკში იმყოფება. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ და პოლონეთის მუშათა პარტიამ მოითხოვეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ამა წლის პირველ მარტამდე. მათ არ სურდათ მიეღოთ ახალი ლიტონი დეკლარაცია და საკითხი პრინციპულად დააყენეს—სურს თუ არა პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს (მიკოლაიჩიკის პარტია) შევიდეს საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში.

რამდენადაც პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს მოღვაწეები ამბობენ, აღნიშნავს ოსუბკა-მორავსკი, რომ ამ პარტიის პროგრამა და სხვა პარტიების პროგრამები მსგავსნი არიან როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში, და ვინაიდან პროგრამა თითქოს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა, ამიტომ ჩვენ გამოვედით საარჩევნო ბლოკის წინადადებით, ქვეყნის აღდგენის საქმეში გულწრფელი ერთობლივი მუშაობის, რეაქციის ბანაკის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წინადადებით. მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილება იქნებოდა იმის დამადასტურებელი, რომ პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვე იცავს პროგრამას, რომელსაც აღიარებს. პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვემ უარჰყო წინადადება, და ამით მდგომარეობა გამოირკვა იმ აზრით, რომ მას სურს რაღაც სხვა რამ, ვიდრე ჩვენ, აქვს სხვა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პროგრამა, ვიდრე ჩვენ, და რომ არ შეიძლება ვიქონიოთ დემოკრატიულ ბანაკთან პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს ლოიალური თანამშრომლობის იმედი.

ოსუბკა-მორავსკიმ აღნიშნა, რომ დემოკრატიული პარტიები პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენას შეუდგნენ უფულოდ, ორგანიზებული სახელმწიფო აპარატის უქონლად, უსურსათოდ, უნედლეულოდ, ამასთან მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის წინააღმდეგ ომში, და სთქვა, რომ, მიუხედავად ამ სიძნელეებისა, პოლონეთის დემოკრატიამ შედარებით მოკლე ხანში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

ახასიათებს რა ამ წარმატებებს, ორატორი პირველ რიგში აღნიშნავს კავშირს საბჭოთა კავშირთან, პოლონეთის დასავლეთ საზღვრების ცნობას, მთელ რიგ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობის დამყარებას, აგრარულ რეფორმას, მრეწველობის ნაციონალიზაციას და მისი აღდგენის სწრაფ ტემპებს, სახელმწიფო აპარატის შექმნას, ინფლაციის არდაშვებას და საბიუჯეტო წონასწორობასთან მიახლოებას და სხვ. ილაპარაკა რა ლონდონის პოლონურ რეაქციულ წრეებზე, ოსუბკა-მორავსკიმ აღნიშნა, რომ რეაქცია ლონდონსა და პოლონეთში, რომელსაც არ ესმის ის დიდი სიმართლე, რომ პოლონეთს ესაჭიროება ეს კავშირი როგორც თავისი განთავისუფლებისათვის, ისე თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ცდილობდა გაეკეთებინა ყოველივე შესაძლებელი, რათა გაეთხარა უფსკრული პოლონელ ხალხსა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის, ახლა კი ჩვენი ცრუ მეგობრები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ისინი განამტკიცებდნენ საბჭოთა კავშირთან მეგობრობას ჩვენზე გაცილებით უფრო ადრე, სახელდობრ ჯერ კიდევ ომამდე. ლონდონის ემიგრანტული მთავრობისა და პოლონეთში მისი დელეგატურის მთელი საქმიანობა აქარწყლებს ამ მტკიცებას. დოკუმენტები, არალეგალური ლიტერატურა, რომელსაც პოლონეთში სცემდა დელეგატურა, აგრეთვე ვიცე-პრემიერ მიკოლაიჩიკის პარტია, ამ თეზისის საწინააღმდეგოს ამტკიცებს. დემოკრატიულმა პარტიებმა მძიმე პირობებში შექმნეს კავშირი საბჭოთა კავშირთან და დაადგნენ ყველა სლავ ხალხთან მეგობრობის გზას.

ორატორი ჩამოსთვლის შემდგომს მიღწევებს. ამ მიღწევებს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ეკუთვნის სახელმწიფო აპარატის შექმნა, მიუხედავად რეაქციის მხრივ ხელის შეშლისა. ზოგჯერ ამ აპარატის შექმნა ხელახლა ხდებოდა საჭირო. საჭირო იყო დიპლომატიური აპარატის ხელახლა შექმნა, ვინაიდან არ შეიძლებოდა ბეკის აპარატისადმი ნდობა. ჩვენი ახალი დიპლომატია, ამბობს ოსუბკა-მორავსკი, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, ძველზე უკეთესია და ჭეშმარიტად პოლონეთის სასარგებლოდ მუშაობს. (ტაში). ხელახლა აგებულია საზოგადოებრივი უშიშროების აპარატი, ვინაიდან არ შეიძლებოდა დაყრდნობა ძველ სანაციურ აპარატზე, რომელიც ეწეოდა ბრძოლას მუშებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ, შემდეგ კი საბოლოოდ გაიტეხა სახელი ოკუპანტებთან თანამშრომლობით. უშიშროების ჩვენი აპარატი უფრო და უფრო უკეთესად მუშაობს. ხოლო, რაც მთავარია, მან ჩააბარა გამოცდა დემოკრატიისადმი ერთგულებაზე. წარმატება იყო ისიც, რომ კრაიოვას თითქმის მთელი არმია ნებაყოფლობით გამოვიდა ტყეებიდან და იატაკქვეშეთიდან და 40 ათასამდე კაცმა ჩააბარა იარაღი და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა. შემდგომი დიდი წარმატება იყო ის, რომ პოლონეთში არ დავუშვით ინფლაცია. მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში არ გამოგვიშვია ახალი ფული სახელმწიფოს საბიუჯეტო საჭიროებისათვის. ჩვენ ვუახლოვდებით იმ იდეალს, რომელსაც საბიუჯეტო წონასწორობა ეწოდება, რომელიც განამტკიცებს ჩვენს ვალუტას და ინფლაციისაგან დაგვიცავს (ტაში).

ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს ქვეყნის აღდგენის საქმეში. მნიშვნელოვნად წაიწია წინ ვარშავის აღდგენამ.

ამას წინათ უცხოელმა წარმომადგენლებმა თავიანთ მთავრობებს უპატაკეს, რომ ჩვენი ნავსადგურები ისეა დანგრეული, რომ შეუძლებელია „იუნრა“-ს დახმარების მოწყობა ფართო მასშტაბით, ვინაიდან პოლონეთის ნავსადგურებს არ შეეძლებათ მისი მიღება. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა: ჩვენ ნაწილობრივ აღვადგინეთ ჩვენი ნავსადგურები და საწყობები, მაგრამ ჯერჯერობით საწყობები თითქმის ცარიელია და ისინი, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით მოელიან „იუნრა“-ს საქონელს.

ჩვენ გვაქვს მიღწევები აგრეთვე კოოპერაციის დარგში.

შეგვიძლია აღვნიშნოთ დიდი წარმატებანი კანონების უნიფიკაციის დარგშიც.

ამ წარმატებათა საფუძველს, ამბობს ოსუბკა-მორავსკი, წარმოადგენს პოლიტიკური ცხოვრების აღორძინება, დემოკრატიის აღორძინება და განმტკიცება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ამბობს იგი, სხვა პოლიტიკური კონცეპციები აქვთ, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულების საკითხში. რეაქცია საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილით არის გამსჭვალული. ჩვენ კი საბჭოთა კავშირთან მეგობრობა გვსურს, ვინც ამ საკითხს მტრულად ან თუნდაც გულგრილად ეკიდება, მას არ ესმის ჩვენი საარსებო სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესები. ჩვენ უფრო მეტად გვესაჭიროება საბჭოთა ხალხების დახმარება გერმანიის წინააღმდეგ, ვიდრე საბჭოთა კავშირს ესაჭიროება ჩვენი დახმარება (შეძახილები: „გაუმარჯოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“). ადამიანები, რომლებთანაც თანამშრომლობდა და თანამშრომლობს ბატონი მიკოლაიჩიკი, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ არ დაეშვათ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ნორმალური ურთიერთობის შექმნა, მაშინ როდესაც ეს ყველაზე დიდ სარგებლობას მოგვიტანდა.

უთანხმოება იყო და ახლაც არის კონსტიტუციის საკითხში. რეაქცია გარკვეულ მომენტამდე 1935 წლის ფაშისტური კონსტიტუციის მომხრე იყო, დემოკრატია კი თავიდანვე ემხრობოდა 1921 წლის კონსტიტუციას. მართალია, ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ახლა ამბობენ, რომ ისინიც 1921 წლის კონსტიტუციის თვალსაზრისზე დგანან, მაგრამ მაშინ, როცა მათ მთავრობა ჰყავდათ და სურდათ ხელისუფლებას სათავეში ჩასდგომოდნენ პოლონეთში, ისინი არ სცნობდნენ 1921 წლის კონსტიტუციას და ეყრდნობოდნენ ფაშისტურ კონსტიტუციას, ფიქრობდნენ რა, რომ ეს ყველაზე უკეთესად უზრუნველჰყოფდა მათს ჩადგომას ხელისუფლების სათავეში. ახლა ისინი სცნობენ 1921 წლის კონსტიტუციას, რადგან სთვლიან, რომ ახლანდელ პერიოდში იგი უფრო ხელსაყრელია მათთვის.

აზრთა მესამე სხვადასხვაობა ეხება დემოკრატიის საკითხს. მათ, ვინც ლაპარაკობს, რომ პოლონეთში ახლა არ არის სრული დემოკრატია, უნდა გავახსენოთ, თუ რა დემოკრატიას სცნობდა ვიცე-პრემიერ მიკოლაიჩიკის ბანაკი ლონდონში და მისი მომხრეები პოლონეთში. ამბობენ, კრაიოვა რადა ნაროდოვა დემოკრატიული პარლამენტი არ არის, რადგან იგი თავისუფალი არჩევნების საფუძველზე არ არის არჩეული. უნდა ითქვას, რომ ახლანდელ პირობებში ეს ყველაზე უფრო დემოკრატიული მთავრობაა, როგორისაც წარმოდგენაც კი შეიძლება. მათ ავიწყდებათ, რომ პარლამენტი—რადა ედნოსტი ნაროდოვოი კიდევ უფრო არადემოკრატიული იყო. საჭიროა გავახსენოთ ამ ვაჟბატონებს, რომლებიც დემოკრატიის ნაკლოვანებაზე ლაპარაკობენ, რომ ლონდონის წრეებმა მიიღეს საიდუმლო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პოლონეთში უნდა ეარსება მხოლოდ ოთხ პოლიტიკურ პარტიას: ენდეკებს, სტრონიცტვო პრაცის, „ვრნ“-სა და პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს. საჭიროა გავახსენოთ ისიც, რომ ლონდონის მთავრობის დელეგატურის იურისტები საზრავდნენ, თუ როგორ გამოეცათ დეკრეტი, რომელიც პოლონეთის მუშათა პარტიის არსებობის კანონიერებას გააბათილებდა. ამრიგად, ჯერ კიდევ არალეგალურ პირობებში ისინი ფიქრობდნენ ჩვენი ერთ-ერთი დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაციაზე (შეძახილები: „გაუმარჯოს პოლონეთის მუშათა პარტიას!“, „გაუმარჯოს პოლონეთის სოციალისტურ პარტიას!“, მქუხარე ტაში).

ორატორი დამსწრეთ მოაგონებს, რომ ბევრი მათგანი, ვინც მხოლოდ ახლა ლაპარაკობს დემოკრატიაზე, თავის პოლიტიკურ ანგარიშს ასწორებდა ძმათამკვლელი ბრძოლის საშუალებით. მათი ხელით ბევრი პარტიზანი დაიღუპა. დემოკრატიული პარტიების არქივებში არის ამ ვაჟბატონების მიერ დამზადებული დოკუმენტები. ეს დოკუმენტები ეხება კომუნისტებად წოდებულ რამდენიმე ასეულ პირს, რომლებიც უნდა მოეკლათ. ეს სახელები შემდეგ „რაღაც უცნაური შემთხვევის გამო“ გესტაპოში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, და ამის შედეგად ბევრი ადამიანი დაიღუპა.

ორატორი შემდეგ ადარებს პოლონური ემიგრაციის საქმიანობას ლონდონში და პოლონური ემიგრაციის მოღვაწეობას საბჭოთა კავშირში ომის დროს. საბჭოთა კავშირში ემიგრაცია თავის მუშაობას ეწეოდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის საფუძველზე. არ იღებდა ვალებს, რომლებიც მომავალში ტვირთად დააწვებოდა სახელმწიფო ბიუჯეტს. მან შექმნა ჩინებული 100-ათასიანი არმია, რომლის მეოხებითაც ჩვენ ახლა შესაძლებლობა გვაქვს თამამად განვაცხადოთ, რომ პოლონეთი განთავისუფლებულ იქნა არა მარტო უცხო, თუნდაც მოკავშირე ძალით, არამედ პოლონეთის ჯარის ძალებითაც (ტაში).

ხოლო რა გააკეთა ამ მხრივ სხვა ემიგრაციამ? ჩვენი სხვა ჯარი მამაცურად იბრძოდა ნარვიკთან, მონტე კასინოსთან, მაგრამ ვერ დაბრუნდა სამშობლოში როგორც თავისი ბრძოლით მოამაყე არმია, ვინაიდან ამას ხელი შეუშალა სხვადასხვა პოლიტიკურმა კომბინაციამ, და გმირები ნარვიკიდან ბრუნდებიან ჩუმად, პატარა ჯგუფებად, უიარაღოდ, ზოგჯერ მხოლოდ ძველი შაშხანითა და ერთი ვაზნით, ეს კი საკმარისი არ არის სალუტისთვისაც კი სამშობლოში ჩამოსვლის დროს. შემდეგ, საბჭოთა კავშირში შექმნილი და საუცხოოდ მომარაგებული არმიისათვის ჩვენ არ გვიდგენენ არავითარ ანგარიშს, პოლონეთის ლონდონის მთავრობის საქმიანობისათვის კი ჩვენ გვთხოვენ 70 მილიონზე მეტ გირვანქა სტერლინგს. რამდენიმე ისეთი წილი ოქროა საჭირო, რაც პოლონეთს თავის განკარგულებაში გააჩნია, რომ შესაძლებელი გახდეს ანაზღაურება ლონდონის მთავრობას თამაშისა და იმ პოლონური სისხლისა, რომელიც დაიღვარა არა მარტო პოლონეთის ინტერესებისათვის, არამედ უწინარეს ყოვლისა ინგლისისა და ჩვენი სხვა მოკავშირეების ინტერესებისათვის, ანაზღაურება იმისა, რომ მონტე კასინოსთან ესოდენ ბევრი პოლონური სისხლი დაიღვარა.

ორატორი იხსენებს იმას, რომ, როცა გენერალისიმუს სტალინთან ლაპარაკის დროს პოლონეთის წარმომადგენლები შეფიქრიანდნენ იმის გამო, პოლონეთი როგორ გადაუხდის საბჭოთა მთავრობას ჩვენი არმიის ორგანიზაციასთან დაკავშირებით აღებულ ვალებსო, მათ პასუხად მიიღეს, რომ სისხლისათვის საზღაურს არ იხდიანო (შეძახილები: „გაუმარჯოს გენერალისიმუს სტალინს!“, „გაუმარჯოს პოლონეთის მეგობარს—სტალინს!“, მქუხარე ტაში). ლონდონში კი გვიპასუხეს: „ამაში გირვანქა სტერლინგები უნდა გადაიხადოთო“.

შემდეგ ორატორი ეხება გლეხთა მოძრაობაში გათიშვის მიზეზს, მოსკოვის შეთანხმების დარღვევაში დამნაშავეთა და ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნის საკითხს. ოსუბკა-მორავსკი ამბობს, რომ ლონდონიდან დაბრუნებული ლიუდოველები მთავრობაში შევიდნენ ოპოზიციური მუშაობის საწარმოებლად და არა თანამშრომლობისათვის.

ოსუბკა-მორავსკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს პოლიტიკის—ორ სკამზე ჯდომის პოლიტიკის შედეგად იქმნება ოპოზიცია სახელმწიფო აპარატშიც. პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს წევრები კიდევ იმ არგუმენტით სარგებლობენ, რომ ისინი ბრძოლას ეწევიან იმისათვის, რომ მუშებს არ ჰქონდეთ უპირატესობა გლეხების წინაშე. ორატორი ხაზს უსვამს, რომ თუ ლაპარაკია ისეთ უპირატესობაზე, როგორიც არის გლეხებისადმი აქტიური დახმარება აგრარული რეფორმის გატარების დროს, გლეხებს არ სწყინდათ ასეთი უპირატესობა. თუ ლაპარაკია ისეთ უპირატესობაზე, როცა მუშები ლოძსა და სილეზიაში ცუდი მომარაგების დროს ქანცის გაწყვეტამდე მუშაობენ იმისათვის, რომ აღადგინონ მრეწველობა, გაადიდონ ქვანახშირის ამოღება და საფეიქრო საქონლის გამოშვება, პოლონელ გლეხს არც ასეთი უპირატესობა დარჩება საწყენად (ტაში). ახლა კი გამოირკვა, ნამდვილად ვის სურს უპირატესობა—მუშათა პარტიას თუ ერთ-ერთ გლეხურ პარტიას. მუშათა პარტიებმა საარჩევნო ბლოკის პირობებში განსაზღვრეს, რომ უნდა იყოს თანასწორობა, რომ არ არის არც მუშების უპირატესობა გლეხების წინაშე და არც გლეხებისა მუშების წინაშე, არც ერთი პარტიისა მეორის წინაშე. პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეში ეს თანასწორობა ისე ესმით, რომ თავისთვის მანდატების 75 პროცენტს მოითხოვენ.

ორატორი აღნიშნავს, რომ გლეხთა მოძრაობას, იმასაც კი, რომელიც პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს გავლენის ქვეშ იმყოფება, არ შეიძლება მთლიანად დაედოს ბრალი ასეთ პოლიტიკურ პოზიციაში. გლეხებს სურთ მთელი დემოკრატიული ბანაკის თანამშრომლობა, სურთ მშვიდობა პოლონეთში და არა ძმათამკვლელი ბრძოლა. საარჩევნო ბლოკის შექმნისა და მუშათა და გლეხთა სრული ერთიანობის მიღწევის გზაზე დაბრკოლებას წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა მოღვაწეთა შედარებით ვიწრო ჯგუფი. რომელიც თავს იყრიდა ლონდონის მთავრობის დელეგატურის გარშემო, სწორედ ის ვაჟბატონები, რომლებიც ხუთი წლის განმავლობაში დიდი ფულის ფასად მუშაობდნენ და ერთმანეთს ურიგებდნენ თანამდებობებს არა მარტო პოლონეთში, არამედ ნიშნავდნენ მამასახლისებს ქალაქებში თვით ოდესამდე (სიცილი დარბაზში).

ორატორი დამსწრეთა ყურადღებას მიაპყრობს დამახასიათებელ მოვლენას — პოლონეთში დემოკრატიის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა კავშირს ცნობილ წრეებთან საერთაშორისო ასპარეზზე. არსებობს ტელეგრაფის რაღაც მავთულები, ამბობს იგი, პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვესა და საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს მოწინააღმდეგეებს შორის. როცა რეაქციის ხელით იღუპება პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს წევრი, ინგლისის პარლამენტში შედის ინტერპელაციები და ბრალდებანი, რომ ამას სჩადიან საზოგადოებრივი უშიშროების ჩვენი ორგანოები. ხოლო როცა 20 ათასზე მეტი დემოკრატი დაიღუპა, ინგლისის პარლამენტში ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ თქმულა.

პრემიერი იძლევა შეკითხვას, თუ რის იმედი აქვს პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს? ამ პარტიის მოღვაწეები ამბობენ, რომ არ ესაჭიროებათ რეაქციის ხმები, რომ მათ ეყოფათ გლეხები, მაგრამ პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს მონოპოლია არა აქვს სოფელზე, ვინაიდან იქ კიდევ არსებობენ სტრონიცტვო ლიუდოვე, პოლონეთის სოციალისტური პარტია და პოლონეთის მუშათა პარტია.

ლაპარაკობს რა ამ ამოცანებზე, რომლებიც ახლა პოლონეთის წინაშე დგას, ოსუბკა-მორავსკი პირველ რიგში აღნიშნავს მომარაგების ამოცანას. უდიდესი სასურსათო სიძნელენი რაც შეიძლება მალე უნდა იქნას დაძლეული. ვაჟბატონებს პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვედან ეს ნაკლებად აწუხებთ. ამ მხრივ მათი ღონისძიებანი 75 პროცენტს არ შეადგენენ. ვფიქრობთ, ამბობს ორატორი, რომ საზღვარგარეთ მყოფი ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგე ძლიერ დაინტერესებულია ჩვენი არჩევნებით. თუ ისინი ასე არიან დაინტერესებულნი, უმჯობესია, რომ ისინი არ ზღუდავდნენ ჩვენთვის „იუნრა“-ს დახმარებას.

შემდეგ პრემიერი გადადის პოლონეთში უშიშროების საკითხზე. რეაქციული ბანდებისათვის არსებობს ხელსაყრელი ატმოსფერო იმასთან დაკავშირებით, რომ პოლონეთში არის არა მარტო არალეგალური, არამედ აგრეთვე ლეგალური ოპოზიცია. ყველა პარტიას რომ პრაქტიკულად და არა მარტო თეორიულად დაეგმო ეს ბანდები, შესაძლებელი იქნებოდა მათი სწრაფი ლიკვიდაცია. მათ რაღაც საიდუმლო კავშირი აქვთ ზოგიერთ ლეგალურ პარტიასთანაც კი. პოლონეთის მუშათა პარტიის ან პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრს რომ შეიპყრობენ—მას ჰკლავენ, ხოლო როცა პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს წევრს შეიპყრობენ—მას ათავისუფლებენ. მუშათა პარტიების წინაშე დგას ამოცანა გაძლიერებული ბრძოლა აწარმოონ ბანდებთან. საჭიროა შეიქმნას მილიციის მოხალისე რეზერვების რაზმები, რომლებიც დაგვეხმარებიან ყველა ბანდის მოსპობაში (მქუხარე ტაში).

პრემიერი ლაპარაკობს შემდეგს აქტუალურ ამოცანებზე: დასავლეთი მიწების დასახლებასა და ათვისებაზე, პოლონელ მოქალაქეთა რეპატრიაციაზე მსოფლიოს ყველა კუთხიდან. იგი მიუთითებს, რომ საჭიროა ნაბიჯების გადადგმა ანდერსის არმიის დასაშლელად, ვარშავისა და სხვა ქალაქების, ნავსადგურებისა და დანგრეული სოფლების აღდგენა. ჩვენს წინაშე, ამბობს იგი შემდეგ, დგას ამოცანა ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის აღდგენისა, დგას აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის საკითხი. დაახლოებით მილიონ ბავშვს ესაჭიროება დახმარება. აი რატომ არის, რომ, გვსურს რა ხალხის ძალების გაერთიანება ამ ამოცანათა გადასაწყვეტად, სხვებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, ჩვენ ვისწრაფვით საარჩევნო ბლოკისაკენ. პრემიერი გადაჭრით აცხადებს, რომ საკითხი არა დგას ისე, რომ დემოკრატია უმრავლესობას არ მიიღებს. ლაპარაკია იმაზე, რომ არ იყოს ძმათამკვლელი ბრძოლა, რომ ენერგია არ იხარჯებოდეს ბანდებთან ბრძოლაზე, პოლიტიკურ ბრძოლაზე, წინასაარჩევნო ბრძოლაზე.

ორატორი მოკლედ დასკვნის: ჩვენ ვიმყოფებით ისტორიულ მოსაბრუნებელ პუნქტზე და დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, წავალთ მიზნისაკენ მიმავალი გზით თუ გადავუხვევთ რომელიმე უფრო „იოლ“ ბილიკზე მარჯვნივ ან მარცხნივ და ჩავეფლობით ჭაობში. გზა, რომლითაც დემოკრატიის ბანაკი მიდის, გადის ოკუპაციის პერიოდის ბრძოლების დროიდან კრაიოვა რადა ნაროდოვაზე, პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტსა და დროებითს მთავრობაზე. ამ გზისა, აცხადებს ორატორი, არ უნდა გვერცხვენოდეს, და ამ გზით წავალთ შემდგომ ჩვენი მიზნისაკენ. ჩვენ ვიმყოფებოდით გაცილებით უფრო ძნელ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში, მაგრამ გავუძელით. მაშინ ჩვენ დავამარცხეთ რეაქციული ოპოზიცია, დავამარცხებთ მას ახლაც.

ყველა ჩვენს მომხრეს, განაგრძობს ორატორი, რომლებსაც ზოგჯერ აღიზიანებს ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობა და რომლებსაც, შესაძლოა, ზოგიერთი ცრუ მეგობარი უკარნახებს რომელიმე სხვა გზას, უნდა ვუთხრათ, რომ ჩვენი გაჭირვება გამოწვეულია ობიექტური ომისშემდგომი პირობებით. ეს პირობები არსებობს არა მარტო ჩვენში, არამედ თითქმის ყველა განთავისუფლებულ ქვეყანაში.

დასასრულ ოსუბკა-მორავსკი აცხადებს:

ჩვენში მდგომარეობა ყოველთვე უმჯობესდება. მუშათა კლასს და გლეხებს ახსოვთ ომამდელი გაჭირვება და უმუშევრობა. გლეხს ახსოვს, როგორ უხდებოდა მას ასანთის ოთხ ნაწილად გაპობა. მას უნდა ვკითხოთ: თუ გსურთ თქვენ სხვა პოლონეთი, ვიდრე ის, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ? თუ გსურთ, რომ დაბრუნდეს ძველი პოლონეთი—შიმშილის, გაჭირვების, დევნა-შევიწროებისა და უმუშევრობის პოლონეთი?

ორატორი აღნიშნავს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნება ხალხის მასების ხელში. ეს საჭიროა ძმათამკვლელი ბრძოლისა და პოლიტიკური და სამეურნეო ქაოსის ახალი პერიოდის თავიდან ასაცილებლად. ეს საჭიროა, რათა ავაშენოთ პოლონეთი არა 20 წლით, არამედ მთელი საუკუნეებისათვის. მხოლოდ დემოკრატიას შეუძლია ააშენოს ასეთი პოლონეთი და უზრუნველჰყოს ჯანსაღი, სწორი პოლიტიკა და პოლონეთის დამოუკიდებლობის განმტკიცება. ამიტომ თუნდაც პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს ან სტრონიცტვო პრაცის გარეშე, იმ ოთხმა დემოკრატიულმა პარტიამ, რომლებიც ლიუბლინის ყველაზე მძიმე პერიოდში აშენებდნენ ახალ პოლონეთს, არჩევნებში უნდა მიიღოს და მიიღებს უმრავლესობას, თუ ისინი ყველა გლეხს, მუშასა და მოსამსახურეს ეტყვიან იმ პრინციპების შესახებ, რომლების გადახვევაც არ შეიძლება, რათა გამოვიყვანოთ პოლონეთი მძიმე მდგომარეობიდან და განვამტკიცოთ მისი დამოუკიდებლობა და დემოკრატია.

ორატორი ტაშის გრიალში აცხადებს, რომ არჩევნებში გამარჯვებისა და დემოკრატიული ბლოკის შენარჩუნებისათვის სწორ გზას წარმოადგენს მუშათა კლასის ერთიანობა. ამ ერთიანობას უნდა გავუფრთხილდეთ, რათა პოლონეთი არ ჩავაგდოთ ქაოსისა და ბრძოლის ახალ პერიოდში, რათა ძალაუფლება რეაქციას არ დავუთმოთ. უნდა გაქრეს წვრილი პირადი ან ადგილობრივი დავა, რომლებსაც ნაკლებ არსებითი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის აღდგენის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების, იმ იდეის განხორციელების დიად პრობლემებთან შედარებით, რომლისთვისაც მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდნენ და საპყრობილეებში იღუპებოდნენ დემოკრატიისათვის საუკეთესო მებრძოლნი.

პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის შეთანხმება ტრანზიტის შესახებ

ვარშავა, 7 მარტი. (საკდესი). როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამ დღეებში პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დაიდო შეთანხმება პოლონეთში გადმოსაზიდი საქონლის ტრანზიტის შესახებ. ამ შეთანხმებით უახლოეს ხანში შესაძლებელი გახდება პოლონეთის მთავრობის მიერ რუმინეთსა და უნგრეთში შესყიდული დიდძალი თხევადი სათბობის პოლონეთში ტრანსპორტირება.

ეგვიპტელ ხალხთან სოლიდარობის ნიშნად პალესტინაში გაიფიცნენ არაბები

კაირო, 5 მარტი. (საკდესი). არაბული საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ინგლისის ჯარის გაყვანის შესახებ ეგვიპტის მოთხოვნისათვის მხარდაჭერის ნიშნად 4 მარტს ქალაქ ნაბულუსში (პალესტინა) გამოცხადებულ იქნა არაბთა საყოველთაო გაფიცვა. არაბმა სტუდენტებმა დიდი დემონსტრაცია მოაწყეს. მათ მიჰქონდათ ეგვიპტის ალმები და გაიძახოდნენ ეგვიპტელი ხალხის მოთხოვნებთან სოლიდარობის ლოზუნგებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის შრომისა და განათლების საკითხთა კომისიამ უარჰყო კეისის კანონპროექტი

ნიუ-იორკი, 5 მარტი. (საკდესი). პრესა იუწყება, რომ შრომისა და განათლების საკითხთა კომისიამ უარჰყო ამას წინათ წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული კეისის კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს საწარმოთა პიკეტირების აკრძალვას, აგრეთვე გაფიცვების აკრძალვას 30 დღის განმავლობაში კონფლიქტის დაწყების მომენტიდან. კომისიამ სპეციალურ ქვეკომისიას გადასცა კანონპროექტი გადასამუშავებლად.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ცნობით, სპეციალური ქვეკომისიის თავმჯდომარემ დემოკრატმა სენატორმა მერეიმ (მონტანის შტატისაგან) განაცხადა, რომ სენატის კომისიამ კანონპროექტი დაახასიათა, როგორც „დამამშვიდებელი ჰერანგი მუშებისათვის“.

ფინეთის პრეზიდენტის მომავალი არჩევნები

ჰელსინკი, 7 მარტი. (საკდესი). 5 მარტს სეიმმა მეორე წაკითხვით მიიღო მთავრობის კანონპროექტი პრეზიდენტის არჩევის შესახებ. მესამე წაკითხვა მოხდება 8 მარტს. პრეზიდენტის არჩევნები შესდგება 9 მარტს, და ახალი პრეზიდენტი თავის პოსტს დაიკავებს 11 მარტს.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

22 თებერვლის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 22 თებერვალი. (საქდესი). ტრიბუნალის 22 თებერვლის დილის სხდომაზე ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი ამხ. რაგინსკი განაგრძობდა საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების, სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დანგრევაში ბრალდებულთა დამნაშავეობის დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას.

— ჩვენ ტრიბუნალს წარმოვუდგენთ იმის დამამტკიცებელ საბუთებს, — ამბობს ბრალმდებელი, — რომ ქალაქებისა და სოფლების დანგრევა ხდებოდა არა ომის ამა თუ იმ შემთხვევითობისა ან სამხედრო საჭიროების გამო. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ წინასწარგანზრახული ნგრევა ხდებოდა ჰიტლერული მთავრობის მიერ გულმოდგინედ შემუშავებული გეგმისა და გერმანიის სამხედრო სარდლობის ბრძანებათა შესაბამისად, რომ ქალაქებისა და სოფლების მრეწველობისა და ტრანსპორტის დანგრევა საერთო შეთქმულების შემადგენელი ნაწილი იყო.

ისევე, როგორც დასახლებულ პუნქტებს ანგრევდნენ, წინასწარი განზრახვითა და მოფიქრებულად ანგრევდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, ელექტროსადგურებსა და შახტებს. ამის დასამტკიცებლად ბრალმდებელი იმოწმებს საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობას, რომელშიც მოყვანილია გერმანიის სამხრეთი არმიების ჯგუფის სამეურნეო ხელმძღვანელის 1943 წლის 2 სექტემბრის საიდუმლო ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციაში არმიის ხელმძღვანელებს და სამეურნეო რაზმების ხელმძღვანელებს ევალებათ სავსებით დაანგრიონ სამრეწველო საწარმოები, ამასთან განსაკუთრებით იყო აღნიშნული, რომ „ნგრევა უნდა მოხდეს არა უკანასკნელ მომენტში, როცა ჯარები უკვე ბრძოლებს აწარმოებენ ან უკან იხევენ, არამედ დროულად".

1942 წლის 30 იანვარს წარმოთქმულ სიტყვაში ჰიტლერმა განაცხადა: „იქ, სადაც რუსებმა შესძლეს გამოჭრილიყვნენ და ეგონათ, რომ კვლავ დაიკავეს დასახლებული პუნქტები, ეს დასახლებული პუნქტები აღარ არის: იქ ნანგრევებიღა დარჩა".

წითელი არმიის დარტყმების გამო ყუბანიდან უკანდახევისას, ამბობს ბრალმდებელი, გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ შეიმუშავა დაწვრილებითი გეგმა ოპერაციისა, რომელსაც ეწოდება „კრიმგილდას მოძრაობა", რომელშიც მთელი განყოფილება ეკავა ნგრევის გეგმას. ეს გეგმა მიუთითებდა, რომ მოწინააღმდეგემ ყუბანში „უნდა მიიღოს დიდი ხნით სრულიად გამოუსადეგარი, დაუსახლებელი, უდაბური მიწა, სადაც თვეების განმავლობაში იწარმოებს ნაღმების აფეთქება".

მითითება ანალოგიურ ბრძანებათა შესახებ მოიპოვება მთელ რიგ სხვა დოკუმენტებშიც. ფრანკმა თავის დღიურში ჩასწერა: „დიდმნიშვნელოვანია ის, რომ ჯარებს ბრძანება მიეცათ მხოლოდ გადაბუგული მიწა დაუტოვონ რუსებს".

მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების დანგრევა არა მარტო იგეგმებოდა და ხდებოდა წინასწარგანზრახულად და განსაკუთრებული ულმობელობით, არამედ ნგრევას ახდენდნენ გერმანიის სარდლობის მიერ ამ მიზნისათვის შექმნილი სპეციალური რაზმები.

ფაშისტ შეთქმულთა ავაზაკურ ზრახვებში, განაგრძობს ბრალმდებელი, განსაკუთრებული ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და პოლონეთის უდიდესი ქალაქების, კერძოდ, მოსკოვისა და ლენინგრადის დანგრევას.

ლენინგრადის დანგრევის თავიანთი დანაშაულებრივი ზრახვების განხორციელება ჰიტლერელმა შეთქმულებმა იწყეს უმაგალითო სისასტიკით.

გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების ბოროტმოქმედებათა გამომკვლევი ლენინგრადის საქალაქო კომისიის მოხსენებაში დაწვრილებით არის აღწერილი ჰიტლერელთა საზარელი დანაშაულობანი.

ჰიტლერელ შეთქმულებს დასახული ჰქონდათ იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადის სრული მოსპობა.

გადადის რა ჰიტლერელების მიერ პოლონეთის სახელმწიფოს დედაქალაქ ვარშავის წინასწარგანზრახული და უმაგალითო დანგრევის დამამტკიცებელი საბუთების წარდგენაზე, ბრალმდებელი აქვეყნებს ვარშავის რაიონის ჰიტლერელ გუბერნატორ ფიშერის მიერ ფრანკისათვის გაგზავნილი დეპეშის ტექსტს. დეპეშაში ნათქვამია: „ობერგრუპენფიურერმა ფონ დემბახმა მიიღო ახალი ბრძანება — დააწყნაროს ვარშავა, ესე იგი ომის დროს მიწასთან გაასწოროს იგი... ამ ფაქტებს გაცნობებთ იმიტომ, რომ ფიურერის ამ ახალ ბრძანებას ვარშავის დანგრევის შესახებ კოლოსალური მნიშვნელობა აქვს იმის გამოსარკვევად, თუ რა პოლიტიკა უნდა იქნას წარმოებული პოლონეთის მიმართ მომავალში".

ბრალმდებელი გადადის ბრალდების განყოფილებაზე, რომელიც ეხება დასახლებული პუნქტების მოსპობას ჰიტლერელების მიერ, ვითომდა პარტიზანებთან ბრძოლის სახით.

გერმანიის სამხედრო სარდლობა იმიზეზებდა ვითომდა პარტიზანებთან ბრძოლას და ჰგზავნიდა წინასწარმომზადებულ რაზმებსა და გუნდებს, რომლებიც სწვავდნენ და აფეთქებდნენ ათიათასობით სოფელს, დაბას და სხვა დასახლებულ პუნქტს სსრ კავშირის, იუგოსლავიის, პოლონეთის, საბერძნეთისა და ჩეხოსლოვაკიის ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ტრიბუნალისათვის ამხ. რაგინსკის მიერ წარდგენილ საბრალდებო მასალებში განსაკუთრებული ადგილი უკავია განყოფილებას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სოფლების, ქალაქების, მრეწველობისა და ტრანსპორტის დანგრევის შესახებ. ბრალმდებელი აქვეყნებს საგანგებო სახელმწიფო კომისიის მიერ დადგენილ შეჯამებულ ცნობებს სსრ კავშირში გერმანელების დანაშაულობათა შესახებ.

— გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა,— ამბობს იგი, — მთლიანად ან ნაწილობრივ დაანგრიეს და დასწვეს 1.710 ქალაქი და 70 ათასზე მეტი დაბა-სოფელი. მათ დასწვეს და დაანგრიეს 6 მილიონზე მეტი შენობა და უსახლკაროდ დასტოვეს 25 მილიონამდე კაცი. დანგრეულ და ყველაზე უფრო დაზარალებულ ქალაქთა შორის არის უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრები: სტალინგრადი, სევასტოპოლი, ლენინგრადი, კიევი, მინსკი, ოდესა, სმოლენსკი, ნოვგოროდი, ფსკოვი, ორიოლი, ხარკოვი, ვორონეჟი, დონის როსტოვი და მრავალი სხვა.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა დაანგრიეს 31.850 სამრეწველო საწარმო, რომლებშიც ოთხ მილიონამდე მუშა მუშაობდა.

ჰიტლერელებმა დაანგრიეს 36 ათასი ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება, სატელეფონო სადგური და კავშირგაბმულობის სხვა საწარმოები.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნაწილას ოკუპაციის პერიოდში და განსაკუთრებით თავიანთი უკანდახევის დროს გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა დიდი ზარალი მიაყენეს რკინიგზებს, წყლის ტრანსპორტს. მათ დაანგრიეს 479 სანავსადგურო-სანავმისადგომო მეურნეობა, 89 გემსაშენებლო ვერფი და სხვა.

წითელი არმიის შეტევის გამო უკანდახევისას გერმანელთა ჯარებმა ააფეთქეს და დაანგრიეს 91 ათასი კილომეტრი გზატკეცილი და 90 ათასი საგზაო ხიდი, რომელთა საერთო სიგრძე 930 კილომეტრს შეადგენს.

თავისი სიტყვის დასასრულს ბრალმდებელი დაასკვნის:

— ტრიბუნალისათვის წარდგენილი და გამოქვეყნებული დოკუმენტები ცხადჰყოფენ, რომ ჰიტლერელი შეთქმულნი დანაშაულებრივად სთელავდნენ სსრ კავშირის მათ მიერ დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე ომის კანონებსა და ადათებს, სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებს და ჰააგის 1907 წლის კონვენციას. წარმოდგენილი დოკუმენტები აგრეთვე გვიჩვენებენ, რომ გერმანელ დამპყრობთა გეგმებით გათვალისწინებული იყო საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების სრული დანგრევა. დასასრულ, წარმოდგენილი დოკუმენტები გვიჩვენებენ, თუ რა მხეცური სისასტიკითა და ულმობელობით ახორციელებდნენ ჰიტლერელები თავიანთ დანაშაულებრივ გეგმებს, აცამტვერებდნენ რა უდიდეს კულტურულ და სამრეწველო ცენტრებს.

უდიდეს სივრცეზე თეთრიდან შავ და ეგეოსის ზღვებამდე, გერმანიის ჯარების მიერ დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე ჰიტლერელები განზრახ და თანმიმდევრულად ანგრევდნენ რუსეთის, ბელორუსიის, იუგოსლავიის, საბერძნეთისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხმრავალ და აყვავებულ ქალაქებსა და დაბა-სოფლებს. ყოველივე ეს შედეგია ჰიტლერული მთავრობისა და გერმანიის უმაღლესი სამხედრო სარდლობის დანაშაულებრივი საქმიანობისა, რომელთა წარმომადგენლებიც ბრალდებულთა სკამზე სხედან.

დასასრულ ბრალმდებელმა რაგინსკიმ დამამტკიცებელ საბუთად წარუდგინა ტრიბუნალს დოკუმენტალური ფილმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გერმანელების მიერ წარმოებული ნგრევის შესახებ.

დოკუმენტალური კინოფილმის დემონსტრაციით დამთავრდა დილის სხდომა.

22 თებერვლის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 22 თებერვალი. (საქდესი). ტრიბუნალის საღამოს სხდომა იხსნება ბრალდების საბჭოთა წარმომადგენლის ამხ. რაგინსკის თხოვნით ნება მიეცეს მას საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გერმანელთა მიერ კულტურული და ისტორიული ძეგლების დანაშაულებრივი დანგრევის შესახებ მისი მოხსენების დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა დაამთავროს მოწმის დაკითხვით, რომელიც საბჭოთა ბრალდებამ გამოიწვია. მოწმეს აკადემიკოს ორბელს, — სთქვა ბრალმდებელმა, — შეუძლია დაადასტუროს, რომ გერმანელები განზრახ ანგრევდნენ ლენინგრადისა და მისი მიდამოების კულტურულ ფასეულობებს. დამცველი სერვატიუსი ილაშქრებს მოწმის გამოწვევის წინააღმდეგ იმ საფუძვლით, რომ ლენინგრადი ოკუპირებული არ ყოფილა გერმანიის ჯარების მიერ, არამედ განიცდიდა მხოლოდ არტილერიის დაშენას და ჰაერიდან დაბომბვას. თავმჯდომარე ლოურენსი არ იღებს დამცველის აზრს, როგორც არასერიოზულსა და არაარსებითს.

ჩვეულებრივი ფიცის მიღებისა და ბიოგრაფიული ცნობების მიცემის შემდეგ აკადემიკოსი ორბელი აჩვენებს, რომ გერმანელები მრავალი თვის განმავლობაში სისტემატურად უშენდნენ ერმიტაჟის შენობას და რამდენჯერმე დაბომბეს იგი. ერმიტაჟს მოხვდა ორი ავიაბომბი და 30-მდე საარტილერიო ყუმბარა, რომლებმაც დიდი ნგრევა გამოიწვიეს.

ბრალმდებელი: ზამთრის სასახლისა და ერმიტაჟის დანგრევის გარდა, ცნობილია თუ არა თქვენთვის კულტურის ძეგლების დანგრევის სხვა ფაქტები?

მოწმე: მე ვიცი ლენინგრადის მთელი რიგი ძეგლები, რომლებიც დაზიანდნენ არტილერიის დაშენითა და ავიაბომბებით. ყუმბარებითა და ავიაბომბებით დაზარალდნენ ყაზანის ტაძარი და ისააკის ტაძარი. შემდეგ ლენინგრადში მნიშვნელოვნად დაზიანდა რასტრელის ფლიგელი სმოლნის ტაძრის მახლობლად, დაზიანდა აგრეთვე პეტრე-პავლეს ციხის კედლები.

ბრალმდებელი: ცნობილია თუ არა თქვენთვის ლენინგრადის გარეუბნებში გამოწვეული ნგრევის ფაქტები?

მოწმე: მე დაწვრილებით გავეცანი პეტროდვორეცის, დეტსკოე სელოს და პავლოვსკის ძეგლების მდგომარეობას. ყველა ამ ქალაქში მე ვნახე ისტორიული და კულტურული ძეგლების წინასწარგანზრახული საშინელი ნგრევის კვალი.

ბრალმდებლის კითხვაზე, რა საფუძვლით ამტკიცებს მოწმე, რომ გერმანელები განზრახ უშენდნენ ერმიტაჟსო, ორბელი განმარტავს, რომ პირველი ყუმბარები არ ხვდებოდნენ ერმიტაჟს ან ზამთრის სასახლეს, არამედ მახლობლად ეცემოდნენ და თანდათან უახლოვდებოდნენ მათ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გერმანელები ეწეოდნენ დამიზნებას. ერმიტაჟს რომ მიაგნებდნენ, გერმანელები სისტემატურად უშენდნენ მას და ყოველი დაშენის დროს ორ-სამ ყუმბარას ესროდნენ შენობას.

დამცველი ლატენზნერი ეკითხება, ერმიტაჟის ან ზამთრის სასახლის მახლობლად სამხედრო საწარმოები ხომ არ არისო.

მოწმე: რამდენადაც ვიცი, ერმიტაჟის რაიონში სამხედრო საწარმოები არ ყოფილა. მთელს ფართობზე ერმიტაჟისა და ზამთრის სასახლის მახლობლად არც ერთი საარტილერიო ბატარია არ ყოფილა. ერმიტაჟის, ზამთრის სასახლის ტერიტორიაზე და ახლომახლო ადგილებში არავითარი სამხედრო საწარმო არ მუშაობდა.

დამცველი: გაქვთ თუ არა რაიმე საარტილერიო ცოდნა, რათა გამოიყვანოთ დასკვნა, რომ დაშენის მიზანი იყო სახელდობრ სასახლე და არა ხიდი?

მოწმე: მე არასოდეს არტილერისტი არა ვყოფილვარ, მაგრამ მგონია, რომ თუ გერმანიის არტილერია ხიდს უშენს, მას არ შეუძლია ხიდს მოახვედროს მარტო ერთი ყუმბარა, ხოლო სასახლეს, რომელიც განზე იმყოფება, — 30 ყუმბარა. ამ ფარგლებში მე არტილერისტი ვარ.

მოწმე აკადემიკოს ორბელის დაკითხვის დამთავრების შემდეგ ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი ამხ. ზორია იწყებს გერმანელების მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მოქალაქეთა დანაშაულებრივი დამონების დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას. ზორია აღნიშნავს, რომ ჰიტლერელი შეთქმულები ცდილობდნენ კოლოსალური მასშტაბით აღედგინათ მონური იძულებითი შრომის სისტემა. ბრალმდებელი ამბობს, რომ ფაშიზმი მსოფლიო ბატონობის მოპოვების გეგმებით, სამართლის, მორალისა და ადამიანობის უარყოფით ითვალისწინებდა დროებით დაპყრობილი ტერიტორიების მშვიდობიანი მოსახლეობის დამონებას, ფაშისტურ გერმანიაში მილიონობით ადამიანის გარეკვას და მათი შრომის იძულებითი წესით გამოყენებას.

ბრალმდებელი სასამართლოს უდგენს იუგოსლავიის რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტს. გერმანელებმა სერბიაში შექმნეს სპეციალური უწყება გერმანიისათვის იუგოსლაველ მუშათა შესაკრებად. ამ უწყებამ 1943 წლის თებერვლის ბოლოსათვის გერმანიაში წაიყვანა 47.500 მუშა მარტო სერბიიდან. მაგრამ „შეგროვება", რომელმაც გერმანელებს სასურველი შედეგი არ მისცა, მალე შეცვლილ იქნა სხვა, უფრო ეფექტიანი ღონისძიებებით. „გესტაპო და სპეციალური პოლიცია, — აღნიშნავს იუგოსლავიის მოხსენება, — იყენებდნენ ზეგავლენასა და ძალას. ამ მხრივ ისე შორს წავიდნენ, რომ პირდაპირ ქუჩებში იჭერდნენ „მოხალისეებს", პარტიებად აგროვებდნენ და გერმანიაში მიერეკებოდნენ". ჰიტლერელები გერმანიაშივე მიერეკებოდნენ ბანაკებში დაპატიმრებულ ყველა შრომისუნარიან პირს და ეგრეთწოდებულ პოლიტიკურად არასაიმედო ადამიანებს.

მონური შრომა უფრო ფართო მასშტაბით ინერგებოდა გერმანელთა მიერ ოკუპირებულ პოლონეთში.

„მარტო 1940 წელს, — ნათქვამია პოლონეთის მთავრობის მოხსენებაში, — გერმანიაში გაგზავნილ იქნა ასი ათასი მამაკაცი და ქალი, რომლებსაც მალე შეუერთეს 200 ათასი პოლონელი სამხედრო ტყვე. ომის მთელი წლების განმავლობაში გერმანიაში ძალად წაყვანილ პოლონელ მამაკაცთა და ქალთა საერთო რაოდენობამ ორ მილიონს მიაღწია".

ამგვარადვე „აგროვებდნენ" ბერძნებს გერმანელი ოკუპანტები. ჯერ მათ, — როგორც საბერძნეთის მთავრობის ოფიციალურ მოხსენებაშია ნათქვამი, — შემოიღეს საყოველთაო შრომითი ბეგარა, რომლის თანახმადაც მობილიზაციას ექვემდებარებოდა მამრობითი სქესის მთელი მოსახლეობა 16-დან 50 წლის ასაკამდე. შემდეგ ჰიტლერელმა დამპყრობლებმა „მუშები დააყენეს დილემის წინაშე: ან გერმანიაში წასვლით სამუშაოდ ან მძევლებად წაგიყვანთო".

ბრალმდებელი ამბობს, რომ გერმანიაში მუშახელის იძულებითი გარეკვის ანალოგიურ ღონისძიებებს გერმანელები იყენებდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჰიტლერელთა ამ დანაშაულებრივმა საქმიანობამ ფართო ასპარეზი ჰპოვა საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ჰიტლერელებმა წინასწარ შეიმუშავეს გერმანიაში „რუსი მუშახელის გამოყენების" მთელი სისტემა. ამასთან ჰიტლერელი მეთაურები გეგმავდნენ რუსი მუშებისათვის ნამდვილად მონური პირობების შექმნას. 1941 წლის 7 ნოემბერს გერინგმა მოაწყო სპეციალური თათბირი „რუსების გამოყენების შესახებ", რომელზეც მან შემდეგი მითითებანი მისცა: „რუსები გამოყენებულ უნდა იქნან უმთავრესად გზატკეცილებისა და რკინიგზების მშენებლობაზე, ნანგრევთა გაწმენდის სამუშაოზე, განნაღმვის საქმეში და აეროდრომების მშენებლობაზე. გერმანიის სამშენებლო ბატალიონების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დაიშალოს, კვალიფიციური გერმანელი მუშები სამხედრო მრეწველობაში უნდა გაიგზავნონ. მიწის თხრა და ქვის მტვრევა მათი საქმე არ არის. ამისათვის რუსები არსებობენ".

რუსი მუშები გერმანიაში მოთავსებული იყვნენ ბანაკებში, რომლებიც პრაქტიკულად არც თუ ისე განსხვავდებოდნენ საკონცენტრაციო ან სამხედრო ტყვეების ბანაკებისაგან. ომის კანონთა და საერთაშორისო შეთანხმებათა წინააღმდეგ, ჰიტლერელებმა საბჭოთა სამხედრო ტყვეები ისეთსავე მონებად გადააქციეს, როგორც გერმანიაში ყველა სხვა იძულებით წაყვანილი პირი.

ბრალმდებელი გერმანული საბუთებით უჩვენებს სასამართლოს, რომ ჰიტლერული მთავრობა და ფაშისტური პარტია იყვნენ იძულებითი შრომის სისტემის მომწყობნი. ჰიტლერელი მოხელეები ანაწილებდნენ გერმანიის მეურნეობებსა და ოჯახებში იძულებით წაყვანილ მუშებს.

მათ შეადგინეს ეგრეთწოდებული „სამახსოვრო წიგნაკი", რომელშიც უცხოელი მუშების ყველა პატრონს განკარგულება ჰქონდა მიცემული უცხოელები ისეთ პირობებში ჰყოლოდათ, რომლებიც ფაქტიურად არაფრით არ განსხვავდებოდნენ საშუალო საუკუნეების მონათა პირობებისაგან.

გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობა, — როგორც შემდეგ ამბობს ბრალმდებელი, — ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ჰიტლერელ მეთაურებს. კაიტელი, რომელმაც შემთხვევით გაიგო, რომ ტოდტის ორგანიზაციაში ძალად შეგროვებულ უკრაინელ და პოლონელ მუშებს რაღაც ხელფასი ეძლევათო, აღშფოთდა და სათანადო შენიშვნა მისცა ტოდტს.

გერმანიაში გარეკილი საბჭოთა ადამიანები ჭეშმარიტად კატორღულ პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი. გერინგი მითითებებს იძლეოდა საბჭოთა მუშებისადმი მოპყრობის შესახებ და ბრძანებდა: „წესრიგის დაცვის ღონისძიებათა გამოყენებისას გადამწყვეტი მოსაზრებაა სისწრაფე და სიმკაცრე. გამოყენებულ უნდა იქნას დასჯის შემდეგი სახეები შუალედო ღონისძიებათა გამოუყენებლად: „საზრდოს წართმევა და სიკვდილით დასჯა". საბჭოთა ადამიანებს შიმშილით ხოცავდნენ გერინგის დირექტივის შესაბამისად.

ბრალმდებელი ამხ. ზორია ამთავრებს თავის მოხსენებას და აქვეყნებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მ. მოლოტოვის 1943 წლის 11 მაისის ნოტის დასკვნით ნაწილს, რომელშიც საბჭოთა მთავრობა გერმანიაში საბჭოთა ადამიანების ძალად გარეკვისა და მონებად გადაქცევისათვის, მონობის საშუალო საუკუნეების სისტემის აღდგენისათვის, გერმანელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს ჰიტლერელთა ზედაფენას.

ამით მთავრდება საღამოს სხდომა.

23 თებერვლის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 23 თებერვალი. (საქდესი). ტრიბუნალის დღევანდელი სხდომა მიეძღვნა საპროცესო საკითხების გადაჭრას და დაცვის შუამდგომლობის განხილვას მოწმეთა გამოწვევისა და დაცვისათვის ახალი დოკუმენტების გამოთხოვნის შესახებ.

თავმჯდომარემ ლორდმა ლოურენსმა გამოაცხადა ტრიბუნალის გადაწყვეტილება ადვოკატ შტამერის შუამდგომლობაზე, რომელიც დაცვის მომავალ გამოსვლებს ეხება.

გამოხმაურება ჩერჩილის სიტყვის გამო

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (საქდესი). ინგლისის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა 5 მარტს ვესტმინსტერის კოლეჯში (ქალაქი ფულტონი, ამერიკის შეერთებული შტატები) სიტყვა წარმოსთქვა მისთვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ დიპლომის გადაცემასთან დაკავშირებით. ჩერჩილმა სიტყვა მიუძღვნა საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებს და წარმოსთქვა უაღრესად აგრესიული კილოთი.

კერძოდ, ჩერჩილი მოითხოვს შეიქმნას ინგლის-ამერიკის სამხედრო კავშირი, დაპირისპირებული საბჭოთა კავშირისადმი.

ჩერჩილის სიტყვამ მრავალი გამოხმაურება გამოიწვია.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, კონგრესის წევრებმა თავიანთ კომენტარებში არ მოიწონეს ჩერჩილის წინადადება ინგლის-ამერიკის სამხედრო კავშირის შექმნის შესახებ. სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა დემოკრატმა პეპერმა (ფლორიდის შტატისაგან) განაცხადა, რომ ჩერჩილმა ილაპარაკა „მალბოროს საუკეთესო სტილით სახელოვანი იმპერიალიზმის დასაცავად—მაგრამ ეს მუდამ ბრიტანული იმპერიალიზმია. რასაკვირველია, ჩვენ გვსურს ინგლის-ამერიკის თანამშრომლობა, მაგრამ თანამშრომლობა, რომელიც სხვებს არ გამორიცხავს". რესპუბლიკელმა სენატორმა აიკენმა (ვერმონტის შტატისაგან) განაცხადა: „მე არა ვარ მზად სამხედრო კავშირი დავდო ვინმესთან. ინგლისმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა ერთად უნდა იმუშაონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქმედითობის უზრუნველსაყოფად".

რესპუბლიკელმა სენატორმა ბრიუსტერმა (მეინის შტატისაგან) განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეუძლიათ „მიიღონ ინგლისის კოლონიური პოლიტიკის მემკვიდრეობა".

დემოკრატმა სენატორმა ჯონსონმა (კოლორადოს შტატისაგან) განაცხადა: „სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამჟამად მზად არ არიან დასდონ სამხედრო კავშირი, რომელიც დაგვაკისრებდა მოვალეობას დაგვეცვა ინგლისის საგარეო პოლიტიკა". დემოკრატმა სენატორმა ტაიდინგსმა (მერილენდის შტატისაგან) განაცხადა: „მე მსურს, რომ ჩვენ შევძლოთ მივიღოთ ის, რაც, მე მეგონა, ჩვენ გვქონდა: ხუთი სახელმწიფოს კავშირი მშვიდობის დასამყარებლად".

ლონდონი, 6 მარტი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის თავმჯდომარემ ჰაროლდ ლასკიმ 6 მარტს განაცხადა, რომ 5 მარტს ფულტონში (მისურის შტატი) ყოფილ პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც იგი მოუწოდებდა ინგლისისა და შეერთებული შტატების კავშირისაკენ, როგორც საერთაშორისო მშვიდობის გარანტიისაკენ, იყო „ნამდვილი მოწოდება ბრიტანეთის იმპერიალიზმის შესანარჩუნებლად". „ამერიკელმა სენატორმა კლოდ პეპერმა ეს სიტყვები პირდაპირ პირში გამომტაცა, — სთქვა ლასკიმ. —მან შესანიშნავად სთქვა ის, რისი თქმაც მე მსურდა, და მე მეტი აღარაფერი შემიძლია დავძინო".

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის მდივანმა ფენერ ბროკუეიმ განაცხადა, რომ ჩერჩილის სიტყვა საშიში და არადროულია.

ჰოლანდიელი მუშები მოითხოვენ ფრანკოსთან ურთიერთობის გაწყვეტას

ჰააგა, 7 მარტი. (საქდესი). 5 მარტს როტერდამის ნავსადგურის მტვირთავებმა პრემიერ-მინისტრ შერმერგორნს დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიც აღნიშნავენ, რომ ისინი არ დასცლიან ესპანეთიდან ჩასულ გემებს. მუშები თავიანთ დეპეშაში აცხადებენ, რომ ისინი მოითხოვენ ფრანკისტულ ესპანეთთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტას.

მდგომარეობა ინდონეზიაში

ნიუ-იორკი, 2 მარტი. (საქდესი). (მიღებულია დაგვიანებით). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კუნძულ ბალიდან (ინდონეზია) იუწყება, რომ 2 ათასი ჰოლანდიელი ჯარისკაცი ინგლისელ გენერალ-მაიორ მანსერგის მეთაურობით კუნძულზე გადასხდა. ექსპედიციის შემადგენლობაში არის ინგლისის 5 და ჰოლანდიის 2 სადესანტო გემი, აგრეთვე ჰოლანდიის ტრანსპორტი და ნაღმოსანი „კორტენაერი".

კორესპონდენტის სიტყვით, ინგლისის მცირე მეწინავე რაზმი იმავე კუნძულზე გადასხდა გასულ კვირაში.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ 1 მარტს მაკასარის (კუნძული ცელებესი) ნავსადგურის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს მას შემდეგ, რაც ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს ნავსადგურის ახლოს მყოფ ხალხს იმ საბაბით, რომ ვიღაცამ ხალხიდან თოფი გაისროლა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება კვირას, 10 მარტს, დილის 10 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).

ოთხშაბათს, 13 მარტს, დღის 12 საათზე გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია იწვევს „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთა რესპუბლიკურ თათბირს.

„კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთა დასწრება სავალდებულოა.

ლექციები

შაბათს, 9 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მხატვართა კლუბში (ფურცელაძის ქ. № 2) შესდგება პროფესორ შ. ამირანაშვილის პირველი ლექცია ციკლიდან—„ქართული სახვითი ხელოვნების წვლილი მსოფლიო მხატვრული კულტურის საგანძურში".

შესვლა თავისუფალია.

კვირას, 10 მარტს, საღამოს 8 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურის სახლის სალექციო დარბაზში პროფესორი მამასახლისოვი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ატომის ენერგია". დასწრება თავისუფალია.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—9/III — „ტრავიატა", 10/III — დღისით — „ტოსკა", საღამოს — „მთების გული". **რუსთაველის სახელობის** — 9/III—„ერთი ღამის კომედია", 10/III—დღისით და საღამოს—„უდანაშაულო დამნაშავენი". **მარჯანიშვილის სახელობის**—9/III — „ქამთაბერის ასული". 10/III—დღისით—„ფიქრის გორა", საღამოს—„უმზითვო".

ზილიაკუსის გამოსვლა ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 5 მარტი. (საქდესი). პარლამენტის ლეიბორისტმა წევრმა ზილიაკუსმა, რომელიც 4 მარტს თემთა პალატაში გამოვიდა ინგლისის თავდაცვის საკითხებზე კამათის დროს, აღნიშნა, რომ ამა წლის ივნისის დამლევს თოფქვეშ თუ სწავლებაში ჯერ კიდევ იქნება 2 მილიონი კაცი, ხოლო 1946 წლის დამლევს ინგლისის შეიარაღებულ ძალებს შეადგენს 1.100.000 კაცი, კიდევ ნახევარი მილიონი კაცი დაბანდებული იქნება სამხედრო მრეწველობაში. მიმდინარე წლის სამხედრო ბიუჯეტი შეადგენს 1.700 მილიონამდე გირვანქა სტერლინგს, რაც დაახლოებით საერთო ბიუჯეტის ერთ მესამედს უდრის. ზილიაკუსმა განაცხადა: „ასეთია ჩვენი საგარეო პოლიტიკის სამწუხარო სინამდვილე. ასეთია ის ფასი, რასაც ჩვენ საგარეო პოლიტიკაში ვიხდით ადამიანებითა და ფულად. მე მგონია, რომ ფასი ერთობ დიდია, იგი ზომაზე მეტია, და ჩვენ არ შეგვიძლია დავთანხმდეთ ამ ფასზე. ჩვენი მინდვრები, შახტები და ქარხნები მუშახელის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. ცოლები და ოჯახები, დედები და საცოლეები იტანჯებიან იმით, რომ მამაკაცებს საზღვარგარეთ აკავებენ. თვითონ მამაკაცები უკმაყოფილებას განიცდიან იმდენად, რომ ეს საშიში ხდება".

შემდეგ ზილიაკუსმა განაცხადა: ინგლისელმა ხალხმა დაამტკიცა, რომ შეუძლია გადაიტანოს ყველა გაჭირვება, თუ მას სწამს, რომ ეს საჭიროა. მაგრამ, სთქვა მან, საჭირო იქნება დარწმუნების დიდი ძალა, რათა დავუმტკიცოთ მას, რომ ექვსი წლის ომის შემდეგ, როცა ამასთანავე მთელ მსოფლიოში ინგლისს გარს არტყია კეთილგანწყობილი მეგობრები და მოკავშირეები, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ეცადონ მშვიდობასა და თანამშრომლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით, ნამდვილად საჭიროა წინანდებურადვე ზიდოს გადასახადების მძიმე ტვირთი, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს იყოლიოს უდიდესი ფლოტები, არმიები და საჰაერო ძალები და ამისათვის შეამციროს მოსახლეობის საარსებო დონე. „მე მგონია, — განაგრძო მან,—რომ ჩვენ შეგვეძლო დიდი სამსახური გაგვეწია მშვიდობის საქმისათვის, თუ შევამცირებდით ჩვენს შეიარაღებას იმ დონემდე, რომელზეც ჩვენ გადახდისუნარიანი ვართ და შეგვიძლია შევუდგეთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ რეკონსტრუქციას და არა შევამცირებდით ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონეს და გამოვიწვევდით ჩვენი ქვეყნის ეროვნულ გაკოტრებას კოლოსალური შეიარაღების ტვირთქვეშ.

თუ ვალდებულებანი საყოველთაო მშვიდობიანობის მხრივ ნამდვილად წარმოადგენენ ვალდებულებებს, რომლებიც საჭიროა საყოველთაო მშვიდობის დასაცავად, ჩვენ ეს ვალდებულებანი უნდა ვიკისროთ სხვა ქვეყნებთან ერთად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით. ხოლო თუ ვერ შევძლებთ და ვერ გავიზიარებთ ამ ვალდებულებებს, მე მგონია, ისინი არ არიან ნამდვილი სამშვიდობო ვალდებულებანი, არამედ წარმოადგენენ ძველ იმპერიალისტურ მემკვიდრეობას, რომელიც ინიღბება ახალ ვალდებულებებად საყოველთაო მშვიდობისათვის, და ამ შემთხვევაში მათზე ხელი უნდა ავიღოთ.

რატომ ვიხდით ასეთ თვითმკვლელურ ფასს ჩვენს საგარეო პოლიტიკაში? რა გვაიძულებს ამას? ჭკუათამყოფი არავინ არ დასდებს ბრალს ინგლისს, რომ მას აქვს მიდრეკილება საიმპერიო ყოყოჩობისადმი ან ესწრაფვის ტერიტორიის გადიდებასო. მე მგონია, რომ მდგომარეობა უარესია. მე ვფიქრობ, უბედურება ის არის, რომ ჩვენ ვერ შევიმუშავეთ საგარეო პოლიტიკა, რომ ჩვენი პოლიტიკა ვერ შევუფარდეთ ჩვენს ძალებს. ლეიბორისტული პარტიის კონფერენციაზე 1944 წლის დეკემბერში საგარეო საქმეთა მინისტრმა ბევინმა განაცხადა: „თუ მომავალ საყოველთაო არჩევნებში გავიმარჯვეთ, ჩვენ ცხადვყოფთ, რომ ამ ქვეყანას ემოციებით ვერ განვაგებთ. საჭირო იქნება რეალური აზროვნება და დიდი გადაწყვეტილებანი"... მაგრამ სინამდვილეში საგარეო პოლიტიკას ახასიათებს ემოციონალობის მნიშვნელოვანი წილი და რეალური აზროვნების უქონლობა: ჯერჯერობით მიღებული არ არის არც ერთი გადაწყვეტილება, რომელსაც შეიძლება სამართლიანად ეწოდოს დიდი... არავითარი ნიშანი არ არის იმის რეალისტური გაგებისა, რაც მსოფლიოში ხდება. არ არის ჩვენი მდგომარეობისა და ჩვენი ძალის შესაძლებლობის საღი შეფასება. არ არის არავითარი ნიშანი, რომ არსებობს გარკვეული მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობს ჩვენი საგარეო პოლიტიკა. როგორც სჩანს, ჩვენ ბრმად მივყვებით საიმპერიო ინერციის ძალას. ჩვენ ჩაფლული ვართ ძველ რუტინაში, რომელსაც XIX საუკუნისაკენ მივყევართ და რომლის ნაირსახეობა ორი მსოფლიო ომი იყო".

შემდეგ ზილიაკუსი აღნიშნავს, რომ ასეთი პოლიტიკა მეტად ძვირად ჯდება, რამდენადაც შეუძლებელია ახალ მსოფლიოში ვცხოვრობდეთ და ძველი პოლიტიკით ვხელმძღვანელობდეთ. ინგლისს ევროპაში მეტად ბევრი ჯარი ჰყავს, თუმცა იგი არამცდაარამც არ წარმოადგენს ერთადერთ ქვეყანას, რომელსაც პასუხისმგებლობა აკისრია. „მაგრამ ჩვენ გვაკისრია პასუხისმგებლობის ერთობ დიდი წილი, ეს კი ასე იმიტომ მოხდა, რომ ინგლისმა გადასწყვიტა შეიდემანისა და ნოსკეს დაჩრჩილული მანტიით შემოსილიყო ევროპაში. ჩვენ ზურგი ვაქციეთ მუშათა კლასის ერთიანობას და წინააღმდეგობის მოძრაობას — ერთადერთ ძალას, რომელსაც ევროპის აღორძინების უნარი შესწევს.

ჩვენ უდიდესი არმია გვყავს შუა აღმოსავლეთში, კერძოდ პალესტინაში გვყავს არმია, რომლის რაოდენობა უდრის ამ ქვეყნის მთელი მოსახლეობის ერთ მეხუთედს. ეს ხდება პოლიტიკის იმ ნაწილის განსახორციელებლად, რომელიც მიმართულია პალმერსტონის აჩრდილის აღდგენისაკენ.

შორეულ აღმოსავლეთში ჩვენ მოგველის საშიშროება აღმოვჩნდეთ იმ მდგომარეობაში, როცა ერთგვარი იარაღი ვიქნებით ჰოლანდიელთა ხელში.

ლეიბორისტულმა მთავრობამ ბოლო უნდა მოუღოს იმ ყალბი პოლიტიკის განხორციელების ცდებს, რომელიც მემკვიდრეობად მივიღეთ კოალიციური მთავრობისაგან, და ნაცვლად ამისა განახორციელოს პოლიტიკა, რომელიც მიღებულია ლეიბორისტული პარტიის კონფერენციაზე 1944 წელს".

შემდეგ ზილიაკუსმა გაიხსენა, რომ ლეიბორისტული პარტიის საგარეო პოლიტიკის პროგრამაში ნათქვამი იყო: „ჩვენი უპირველესი მიზანი უნდა იყოს ინგლის-ამერიკა-რუსეთის მაქსიმალურად მჭიდრო თანამშრომლობის დაცვა. თუ ჩვენ სამნი ერთად ვიქნებით, ყველაფერი კარგად იქნება, თუ დავიშლებით, ყველაფერი ბნელი და გაურკვეველი იქნება".

დასასრულ ზილიაკუსმა აღნიშნა, რომ შეუძლებელია ძალის პოლიტიკის ძველი შხამის გადასხმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ ჭურჭელში იმისათვის, რომ მომზადდეს დასალევად გამოსადეგი დოზა.

შეკითხვები ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 6 მარტი. (საქდესი). 5 მარტს პარლამენტის ლეიბორისტმა წევრმა ზილიაკუსმა სამხედრო მინისტრ ლოუსონს მიმართა შეკითხვით, პოლონეთის მეორე კორპუსის, რომელიც ამჟამად ანდერსის სარდლობაში იმყოფება, დაახლოებით რა ნაწილი იბრძოდა ინგლისის ჯარების მხარეზე; ამ კორპუსის რა ნაწილი მსახურობდა ტოდტის ორგანიზაციაში, გერმანიის არმიასა ან მოიერიშეთა ნაწილებში და განზრახული აქვს თუ არა გამოაქვეყნოს ლონდონში არსებული პოლონელთა შტაბის მიერ ამა წლის იანვარში ჩატარებული გამოძიების შედეგები, რომლის შედეგადაც გამორკვეული იყო, რომ, პოლონელთა ჯარის ნაწილების მეთაურთა აზრით, იმ პოლონელთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა, რომლებიც წინათ გერმანელთა სამსახურში იყვნენ და შეგროვებულნი არიან ანდერსის არმიაში, მეტად უმნიშვნელო ღირებულებას წარმოადგენს სამხედრო თვალსაზრისით და ნაცისტურია თავისი შეხედულებებით.

სამხედრო მინისტრმა ლოუსონმა წერილობითს პასუხში განაცხადა, რომ ადვილი არ არის იმ ცნობების მიღება, რომლებზეც ლაპარაკია შეკითხვის მეორე ნაწილში, და ამისათვის საჭირო იქნებოდა მნიშვნელოვანი გამოკვლევის ჩატარება.

შემდეგ ზილიაკუსმა ჰკითხა სამხედრო მინისტრს, ანდერსის სარდლობაში მყოფი პოლონელთა მეორე კორპუსი, რომელიც, როდესაც ევროპაში საომარი მოქმედება შესწყდა, შესდგებოდა ერთი ქვეითი დივიზიისა და ერთი ჯავშანსატანკო დივიზიისაგან, ახლა რატომ შესდგება ორი ქვეითი დივიზიის, სატანკო დივიზიისა და სატანკო ბრიგადისაგან; ამ ომისშემდგომი მაშველი ძალების დაახლოებით რა ნაწილია შეგროვებული პოლონელი ეროვნების სამხედრო ტყვეთა შორის და რამდენია იქ იუგოსლაველი უსტაში ან ჩეტნიკი.

ლოუსონი თავის პასუხში ამტკიცებდა, რომ „როდესაც ევროპაში საომარი მოქმედება შესწყდა, პოლონელთა მეორე კორპუსი იტალიაში შესდგებოდა ორი ქვეითი დივიზიისა და ერთი ჯავშანსატანკო დივიზიისაგან, გარდა ამისა, ამ კორპუსის ერთი ჯავშანსატანკო ბრიგადა შუა აღმოსავლეთში იმყოფებოდა გაწვრთნის მიზნით. ეს ჯავშანსატანკო ბრიგადა იტალიაში დაბრუნდა 1945 წლის ოქტომბერში იმისათვის, რომ გამარტივებულიყო ადმინისტრატიული ხელმძღვანელობა".

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

სსრ კავშირის ფინსახკომის დირექტივის თანახმად 1946 წლის შტატების და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვის რეგისტრაცია ჩატარებულ უნდა იქნას 1946 წლის 1 მარტიდან 1 მაისამდე.

საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებმა და საწარმოებმა, რომელთა ცენტრი იმყოფება მოსკოვში და სხვა ქალაქებში, საჭიროა დროულად მიიღონ 1946 წლისათვის დამტკიცებული საშტატო განრიგები და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები და გაატარონ ისინი რეგისტრაციაში რაიონის (ქალაქის) საფინანსო განყოფილებებში.

საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციები, რომლებიც დამოუკიდებლად ანაწილებენ მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებზე, საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მათი ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დამტკიცებულ საშტატო კონტინგენტებს, ხელფასის ფონდებს და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ასიგნობებს, ვალდებული არიან:

ა) დაუყოვნებლივ დაამტკიცონ და გაუგზავნონ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვები 1946 წლისათვის, სათანადო საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციაში გასატარებლად.

ბ) წარმოადგინონ საქართველოს სსრ ფინსახკომში რეგისტრაციისათვის საშტატო კონტინგენტთა განაწილების გეგმები.

საქართველოს სსრ ფინსახკომი აცხადებს, რომ რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ ბანკის დაწესებულებანი ხელფასს გასცემენ მხოლოდ 1946 წლის შტატების რეგისტრაციის ბარათის წარმოდგენისას.

საქართველოს სსრ ფინსახკომი

მოქალაქე **ანა სერგის-ასულმა ოქროპირიძემ,** მცხოვრებმა წერეთლის ქ. № 9, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გიორგი თევდორეს-ძე მარგიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **პოლიკარპე ზაქარიას-ძე სუხიშვილმა,** მცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 80, აღძრა საქმე მონტინის ქ. № 44 მცხოვრებ მოქალაქე **ვარვარა ტრიფონის-ასულ იაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ლენინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოში.

ოჯახი და სანდრო შანშიაშვილი იუწყებიან **გოგი ვარლამის-ძე სვანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/III, 7 ს. გამოსვენება 10/III, 2 ს. ევდოშვილის, 7.

ალექსანდრა, ვანო, ქეთო ტატიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ 10/III, 2 ს. პანთეონში ვაკის სასაფლაოზე შესდგება **ერეკლე დიმიტრის-ძე ტატიშვილის** პანაშვიდი.

ნინო ჩითაშვილი და მიხეილ თუხარელი ოჯახით იუწყებიან **ანა მიხეილის-ასულ ბურდულის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/III, 7 ს. ყორღანოვის, 6. გამოსვენება 10/III, 2 ს.

ოჯახი იუწყება **ლეონინე ყაიხარის-ასულ გორდელაძე-ზიმინის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/III, 7 ს. გამოსვენება 10/III, 2 ს. პლეხანოვის, 114.

ოჯახი იუწყება **გოგონა აკაკის-ასულ ჯაში-ბრეგვაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/III, 7 ს. გამოსვენება 10/III, 4 ს. პლეხანოვის, 142.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00130